

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი



დისტანციური განათლების გამოწვევები თბილისის საჯარო და კერძო სკოლებში

მაგდა თედელური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის  
ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტზე „პროგრამით განსაზღვრული  
კვალიფიკაცია“ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. დოქ. ირმა ბარბაქაძე

თბილისი, 0178, საქართველო

2020

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი  
ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი

„ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით [გვარი სახელი] მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტის კომისიაში მის განხილვას ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“,

თარიღი: \_\_\_/\_\_\_/\_\_\_

ხელმძღვანელი: \_\_\_\_\_ (სახელი, გვარი)

ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

წელი -----

ავტორი: სახელი, გვარი

დასახელება:

ფაკულტეტი: ბიზნესი და ინჟინერია

ხარისხი: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (ფინანსებში)

სხდომა ჩატარდა: \_\_ / \_\_ / \_\_

“ინდივიდუალური პროექტების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების სამაგისტრო ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს „ადმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს“

-----  
(ავტორის ხელმოწერა)

„ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.“

## რეზიუმე

დისტანციური სწავლება არის სწავლების ისეთი ფორმა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და ხელმძღვანელს სწავლა-სწავლება გადაიტანონ „ციფრულ“ ან „არაციფრულ“ „პლატფორმებზე“, იგი შეიძლება იყოს როგორც სინქრონული, ასევე ასინქრონულიც და შერეული ტიპის მოდელის მქონე. მისი არჩევა დამოკიდებულია მოსწავლისა და მასწავლებლის სურვილებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. დისტანციური სწავლების დადებით მხარედ ითვლება ამ სწავლების მოქნილობა, მისი მიღება შესაძლებელია სასურველ დროსა და ადგილას, ამ სწავლებით ასევე შესაძლებელია დროისა და ტრანსპორტირების ხარჯების შემცირება.

პანდემიის პირობებში მსოფლიოს ქვეყნები საფრთხის წინაშე დადგნენ, სწავლების მიტოვებასა და არაპროგნოზირებად მომავალზე ფიქრს სპონტანური დისტანციური სწავლება არჩიეს. საგულისხმოა, რომ ამ პროცესს საქართველოც შეუერთდა. საქართველოში 16 მარტის შემდეგ სკოლები ნელ-ნელა გადაეწყვნენ დისტანციური სწავლების რეჟიმზე. პირველ ხანებში ცენტრალური მითითებები სახელმწიფოს მხრიდან არ ყოფილა და სკოლები თავიანთი ადამიანური რესურსით (მასწავლებლებით) ახერხებდნენ, რომ პირისპირ სწავლა გადაეტანათ ვირტუალურ სამყაროში, ისე რომ გაეთვალისწინებინათ ეროვნული სასწავლო გეგმები.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეები და მასწავლებლები ამ სწავლების მსვლელობისას წააწყდნენ რიგ პრობლემებს, კერძოდ, მათ არ ჰქონდათ ინტერნეტი და შესაბამისი ტექნიკა, რომლითაც შეძლებდნენ სწავლა-სწავლების განხორციელებას.

საინტერესოა, რომ საქართველოს დისტანციური სწავლების კუთხით აქვს მცირე გამოცდილება და ეს გამოცდილება დაეხმარა განათლების სისტემას იმაში, რომ სწავლის პროცესი გაგრძელდა და სემესტრმა მთლიანობაში წარმატებით ჩაიარა.

სწორედ ამ საინტერესო თემიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი დაგვეწერა, თბილისის საჯარო და კერძო სკოლებში დისტანციური განათლების გამოწვევებზე.

ჩვენი კვლევების მიზანი იყო არჩეულ სკოლებში დისტანციური სწავლების ეფექტურობისა და გამოწვევების შესწავლის გამოკვლევა.

კვლევის ამოცანებია:

- მასწავლებელთა და მოსწავლეთა მზაობის დადგენა დისტანციური სწავლებისათვის, მათი ხედვის გაგება აღნიშნული საკითხის სირთულეებისა და გამოწვევის თვალსაზრისით.
- მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის დადგენა.
- დისტანციური სწავლების ეფექტურობის განსაზღვრა.
- დისტანციური სწავლების პროცესით კმაყოფილების ხარისხის დადგენა.

კვლევის ჰიპოთეზა: მოსწავლეების სწავლის ხარისხის დონე კლებულობს დისტანციური სწავლებისას.

კვლევისთვის გამოვიყენეთ, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევები.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გამოიკვეთა რიგი პრობლემები. აღნიშნული პრობლემები შეინიშნებოდა არა მარტო მოსწავლეებში, არამედ მასწავლებლებსა და რიგ შემთხვევაში, მშობლებში.

## Resume

Distance learning is a form of teaching, which allows pupils and teachers to transfer learning-teaching to “digital” or “nondigital” platforms. It might be as Synchronous, Asynchronous and blended type of model. Its choice based on the desires and abilities of the students and teachers. Flexibility of this teaching represents for the positive side of distance learning. It can be taken at any time and place. With this teaching, it is also possible to decrease time and transportation costs.

In the conditions of the pandemic, the countries of the world faced with despair, to abandon learning and think about the unpredictable future, Spontaneously, distance learning was chosen. It is noteworthy that, Georgia also joined this situation. Since 16 March, Georgian schools stage-by stage move to distance learning model. In the initial days, there were not any central instructions by the government and schools with their human resources (teachers) managed, that face-to-face teaching transfer into the virtual world, so as to consider the national curricula.

It is noteworthy that students and teachers encountered certain kinds of problems during the course of this teaching. In particular, they did not have the Internet and the appropriate equipment in order to carry out teaching-learning.

It is significant to mention that Georgia has little experience in distance learning and this experience helped the education system to ensure teaching- learning process and overall, the semester was successful. Because of this interesting topic, we decided to write our master thesis, on the challenges of distance education in Tbilisi public and private Schools.

The aim of our research was to investigate the effectiveness and challenges of distance learning in selected schools.

The objectives of research are:

- To determine teachers' and pupils' readiness for distance learning, understanding their vision in terms of the difficulties and challenges of the issue.
- To determine the degree of student involvement.
- To determine the effectiveness of distance learning.
- To define the degree of satisfaction with the distance learning process

Research hypothesis is: The level of quality of students' learning decreases with distance learning.

We used so quantitative as qualitative methods for the study.

The results of the study revealed a number of problems. These problems were observed not only in students, also with teachers and in some cases, with parents.

## სარჩევი

შესავალი.....	8
თავი I. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა .....	10
1.1 დისტანციური სწავლის სახელმწიფო რეგულაციების მიმოხილვა.....	11
1.2 საქართველოში ონლაინ სწავლების გამოწვევების მიმოხილვა.....	14
1.3 უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარება დისტანციური სწავლების მიმართულებით.....	18
თავი II. კვლევის მეთოდოლოგია .....	26
თავი III. კვლევის შედეგები და მათი განსჯა.....	28
დასკვნა და რეკომენდაცია.....	53
ბიბლიოგრაფია და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა .....	55
დანართი 1. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის .....	62
დანართი 2. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტი განათლების ექსპერტებისთვის ..	66

## შესავალი

COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვების დაწესებასთან ერთად, განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდა.

დისტანციური სწავლა-სწავლების გამართულად განხორციელებისთვის ორი მნიშვნელოვანი ფაქტორია საჭირო: 1. ტექნიკური აღჭურვილობები, ასევე სწავლების მართვის გამართული ციფრული სისტემები, რომლებიც ხელს უწყობენ ელექტრონულ სივრცეში საგანმანათლებლო პროცესების ორგანიზებასა და წარმართვას. 2. მოსწავლემ და მასწავლებელმა შექმნან და გამოიყენონ შესაბამისი რესურსები დისტანციური განათლებისთვის, დამოუკიდებლად დაგეგმონ, წარმართონ დისტანციური სწავლების პროცესი და მონაწილეობა მიიღონ მასში.

გამოვლინდა საინტერესო ფაქტორები:

- მასწავლებელთა ერთმა ნაწილმა დამოუკიდებლად მოახერხა გაემართა დისტანციური სწავლების სისტემა და არსებული რეალობისთვის მოერგო მისი პრაქტიკაში განხორციელება.
- გაჩნდა ტექნიკურ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და მხარდაჭერის საჭიროება.
- მასწავლებლებში მკაფიოდ გამოვლინდა ციფრულ ტექნოლოგიებში კომპეტენციის პრობლემები და მათ გარკვეულ ნაწილში გამოიკვეთა მოთხოვნა ამ უნარების განვითარებაზე.



- გაჩნდა დამხმარე ელექტრონული რესურსებისა და სწავლების მართვის გამართულ ონლაინ სისტემის (LMS) შექმნის საჭიროება.
- გამოიკვეთა მოსწავლეთა განათლებაში მშობლების ჩართულობის მნიშვნელობა და სხვ.
- ონლაინ სწავლებით მივიღეთ სხვადასხვაგვარად გააქტიურებული მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ერთობა, რომელიც მრავალგვარ მოთხოვნებს უყენებს ერთმანეთსა და სახელმწიფოს, ხარისხიან განათლებაზე ორიენტირების თვალსაზრისით.

აღნიშნულმა სწავლებამ სოფლად მცხოვრები და დაბალი სოციალური სტატუსის მქონე მოსწავლეები, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. უმრავლესობას ტექნიკური მოწყობილობების და ინტერნეტსაშუალებების არქონის გამო სწავლაში ჩართულობა გაუჭირდა. სამინისტროს ვალდებულებებში გამოიკვეთა: მასწავლებლების და მოსწავლეების მხარდაჭერა და ყველა აუცილებელი რესურსით უზრუნველყოფა, განათლების სრულფასოვნად რეალიზებისთვის.

ამგვარად, პანდემიით გამოწვეულმა რეალობამ განათლებაში ბევრი ხარვეზი გამოავლინა და მათი გადაჭრის გზების ძიების მოთხოვნილება წამოჭრა ბევრმა სპეციალისტმა, ნათლად დაინახა: განათლების სისტემის განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას უფრო მეტად ავტონომიური, დეცენტრალიზებული საგანმანათლებლო სისტემა. მასში სახელმწიფოს როლი უნდა შემოიფარგლებოდეს ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრით. სკოლებში საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურასთან ერთად აუცილებელია არსებობდეს პარალელური ციფრული ინფრასტრუქტურაც.

ჩვენს ნაშრომში გამოვიყენეთ რაოდენობრივი (ანკეტირება) და თვისებრივი (ჩაღრმავებული ინტერვიუ) კვლევები.

ჩვენი კვლევების მიზანი იყო სკოლებში დისტანციური სწავლების ეფექტურობისა და გამოწვევების შესწავლა, ტიპიურად მსგავს საჯარო და კერძო სკოლების საფუძველზე.

კვლევის ამოცანები:

- მასწავლებელთა და მოსწავლეთა მზაობის დადგენა დისტანციური სწავლებისათვის, მათი ხედვის გაგება აღნიშნული საკითხის სირთულეებისა და გამოწვევის თვალსაზრისით.
  - მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის დადგენა.
  - დისტანციური სწავლების ეფექტურობის განსაზღვრა.
  - დისტანციური სწავლების პროცესით კმაყოფილების ხარისხის დადგენა მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან.
- ჰიპოთეზა: მოსწავლეების სწავლის ხარისხის დონე კლებულობს დისტანციური სწავლებისას.

## თავი1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში განვიხილავთ, ზოგადად, დისტანციური სწავლის ისტორიას, რომელსაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი. ტერმინი „ონლაინ სწავლება“ პირველად 1999 წელს წარმოიშვა. თუმცა მიუთითებენ ფაქტებზე, რომ ონლაინ სწავლება მე-19 საუკუნეში უკვე არსებობდა, კერძოდ, ცნობილია, რომ სანამ ინტერნეტი შეიქმნებოდა, ისააკ პიტმენი 1840 წელს, მოსწავლეების განათლების პროცესს ფოსტის მეშვეობით წარმართავდა. მე-20 საუკუნეში, როცა კომპიუტერული ტექნოლოგიები დაიხვეწა, ონლაინ სწავლებას კიდევ უფრო მასშტაბური ხასიათი მიეცა. „არსებობენ ადამიანები, რომელთაც სურვილი აქვთ საკუთარი ცოდნის გაღრმავების, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ დროის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ან შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საუკეთესო გზა დისტანციური სწავლებაა“ (სტეფან დოუნსი, 2005). ჯონა ლუნდბერგის, დევიდ კასტილოს და მოუნირ დაჰმანის 2008 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, თემაზე სწავლობენ თუ არა უკეთ სტუდენტები ონლაინ, ჩვეულებრივ სტუდენტებთან შედარებით, ასკვნიან, რომ სტუდენტები, რომლებიც ესწრებოდნენ ონლაინ კურსებს, ასევე მოიპოვეს

რაიმე ტიპის ხარისხი ონლაინ უნივერსიტეტებში, იღებენ უფრო მაღალ ქულებს გამოცდებზე, განსხვავებით იმათგან, ვინც პირისპირი სწავლების მეთოდით იყო დაკავებული (ლუნდბერგი, 2008: 40).

როგორც განმარტავენ, დისტანციური სწავლება (E-learning) არის სწავლების ფორმა შექმნილი სპეციალურად მოსწავლეებისთვის ან მოსწავლეთა ჯგუფისთვის, რომლებიც ტრადიციულ აუდიტორიაში ან კლასში ფიზიკურად არ იმყოფებიან. ეს არის პროცესი, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის სწავლა-სწავლებას, როდესაც ინფორმაციის წყარო და მიმღები ერთმანეთისგან დროით, სივრცით ან ორივე შემთხვევაში დაშორებულნი არიან.

დისტანციურ სწავლებას აქვს სინქრონული, ასინქრონული და შერეული ტიპის სწავლების მეთოდები.

დისტანციური განათლების დადებითი მხარეებია:

მოხერხებულობა და მოქნილობა, პროგრამების არჩევის მრავალფეროვნება, სწავლის მისაწვდომი ღირებულება, სწავლის პროცესის მართვადობა, ზოგიერთი მოსწავლისთვის უკეთესია ამგვარი სწავლით სწავლა, მაგალითად, ინტროვერტი მოსწავლეებისთვის და ა.შ. ასევე დისტანციური სწავლებით სწავლა იმ ადამიანებისთვისაა მოსახერხებელი, რომელთაც აქვთ სამსახური და კარიერა.

უარყოფითი მხარეებია:

დისტანციური სწავლების დროს ლექტორთან პირისპირ შეხვედრა ვერ ხერხდება, დისტანციური სწავლება მოითხოვს ტექნოლოგიებსა და სხვადასხვა უნარებს, რომლებზედაც ბევრ მასწავლებელსა და მოსწავლეს შეიძლება არ მოუწვდებოდეს ხელი. აგრეთვე ვერ ხორციელდება სტუდენტური ღონისძიებები.

## 1.1 დისტანციური სწავლის სახელმწიფო რეგულაციების მიმოხილვა

საქართველოს სახელმწიფოსთვის დისტანციური სწავლა-სწავლების ცნება ახალი არ არის.

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (2005) მუხლი 2. ბ<sup>2</sup> ქვეპუნქტი გულისხმობს დისტანციურ სწავლებას, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ზოგადი განათლების მისაღებად ან

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის, საგნობრივი ჯგუფის დასაძლევად ორგანიზებული, დისტანციური, ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართული, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილას მოსწავლისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის ერთდროულად ყოფნას. ამავე კანონის მუხლში 6<sup>1</sup> დისტანციური სწავლება:

1. დისტანციური სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესს დისტანციური, ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას. 2. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით. 3. დისტანციური სწავლების პროგრამა აგებულია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისათვის ან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნისათვის, საგნობრივი ჯგუფისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

ამავე კანონის მუხლი 26. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილება ზოგადი განათლების სფეროში, ც<sup>2</sup> ქვეპუნქტში ეპიდემიის, პანდემიის დროს იღებს გადაწყვეტილებებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის შეჩერების, განახლებისა და დისტანციურად წარმართვის.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (2016) მუხლი 1. ბ<sup>2</sup> ქვეპუნქტში, დისტანციური სწავლება - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ზოგადი განათლების მისაღებად ან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის, საგნობრივი ჯგუფის დასაძლევად ორგანიზებული, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი. დისტანციური სწავლების განხორციელებისათვის აუცილებელია კურიკულუმის დაგეგმვის, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვის შესაბამისი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება.

ასევე, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2020 წლის 31 მარტი.

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის მუხლი 1. მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანებით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადაში, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესი განხორციელდეს შემდეგი წესით:

1. სასწავლო პროცესი წარმართოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა (შემდგომში – სამინისტრო) და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის – განათლების მიერ შექმნილი „ტელესკოლის“ (შემდგომში – „ტელესკოლა“), დისტანციური/ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით. 2. თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს სამინისტროს მიერ დადგენილი დისტანციური, ელექტრონული ფორმით მოსწავლეებისთვის განათლების მიწოდება, „ტელესკოლის“ ან ონლაინ სწავლების საგანმანათლებლო მიზნებისთვის შექმნილი სპეციალური ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით. 3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია, დამრიგებელი, საგნის მასწავლებელი ვალდებული არიან, მოსწავლეს, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდონ ინფორმაცია „ტელესკოლის“, ასევე ონლაინ სწავლების საგანმანათლებლო მიზნებისთვის შექმნილი სპეციალური ელექტრონული პლატფორმების შესახებ. 4. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე „ტელესკოლაში“ ტექნიკური პრობლემების გამო არ/ვერ შეძლებს ჩართვას ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეთავაზებული სპეციალური ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ონლაინ სწავლების პროცესში მონაწილეობის მიღებას, საგნის მასწავლებელი

ვალდებულია, უზრუნველყოს მოსწავლისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დავალებების მიცემა, კონსულტირება. ამ მიზნის მისაღწევად საგნის მასწავლებელი იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას, მათ შორის, სატელეფონო კომუნიკაციას. მოსწავლის მშობელი, კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, ითანამშრომლოს მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, დამრიგებელთან, საგნის მასწავლებელსა და სკოლის სხვა წარმომადგენლებთან.

5. სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ვალდებულნი არიან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს, მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, სისტემატური კომუნიკაციის ფარგლებში, რეკომენდაცია გაუწიონ სახლის პირობებში მეცადინეობის, საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსების გამოყენების შესახებ და მიიღონ უკუკავშირი.

13. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა ხორციელდება ელექტრონული ფორმით, დისტანციური წესით.

## 1.2 საქართველოში ონლაინ სწავლების გამოწვევების მიმოხილვა

კორონა ვირუსის გავრცელების გამო საქართველოში ყველა სკოლა დაიხურა და დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. დისტანციურ სწავლებას გარკვეული პრობლემები ახლდა თან. ამ სწავლებისთვის მზად არ იყვნენ არც მასწავლებლები, არც მოსწავლეები და მშობლები.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტებთან ერთად, შეიმუშავა რეკომენდაციები, რეკომენდაციები სკოლებს დაეხმარა, მოეხდინათ საკუთარი სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ისე, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები ყოფილიყო მიღწეული.

ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში სავალდებულოა დაწყებითი და საბაზო განათლება, ამიტომ სისტემა ვალდებული იყო, ამ საფეხურებზე ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყო განათლების ხელმისაწვდომობა. ამ მიმართულებით განათლების სამინისტრო ალტერნატიულ გზებზე მუშაობდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებისთვის, თუ მოსწავლეს ან ოჯახს არ ქონდა შესაბამისი აღჭურვილობა იმისთვის, რომ მომხდარიყო იმ პროგრამებში ჩართვა, რომელსაც სახელმწიფო სთავაზობდა.

დისტანციური სწავლებისთვის განათლების მეცნიერების კულტურის და სპორტის სამინისტრომ საჯარო სკოლებს შესთავაზა Microsoft office 365-ის პროგრამა Teams-ი. ამ პროგრამისთვის სამინისტრომ 600 000-ზე მეტი მოსწავლე და 55 000-მდე მასწავლებლის პროფილი გაააქტიურა და სამინისტროს მხარდაჭერით, შესაძლებლობა ჰქონდათ, სრულყოფილად ესარგებლათ შეთავაზებული ონლაინ ინსტრუმენტებით. აღსანიშნავია, რომ ეს პლატფორმა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ პანდემიის დროს უმოკლეს ვადებში გააქართულა.

თუმცა ზოგადად სკოლები იყენებდნენ სხვა ალტერნატიულ საკომუნიკაციო საშუალებებსაც, როგორებიცაა: Zoom, Feedc, Skype, ასევე, სოციალურ ქსელებს: Facebook, Messenger, WhatsApp და სხვ.

დისტანციურმა სწავლებამ გამოაშკარავა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, სადაც მშობლის დახმარების გარეშე შეუძლებელია სწავლების ამ ფორმის განხორციელება. მშობლებმა დიდი წვლილი შეიტანეს იმაში, რომ ონლაინ სწავლა-სწავლება გამართული ყოფილიყო, მათი დახმარებით მოსწავლეებმა მიიღეს ონლაინ სწავლებაში მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ მშობელთა ნაწილს არ ჰქონდა უწყვეტი ინტერნეტი თავიანთი შვილების სწავლაში ჩასართავად, ისინი მასწავლებლებთან დასაკავშირებლად შეძლებისდაგვარად იყენებდნენ სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებს.

ონლაინ სწავლებისას მასწავლებლები აქტიურად იყენებდნენ: ვიდეო ჩართვებს, სასწავლო ვიდეოებს და სახალისო სასწავლო საიტებს (ხანის აკადემია,

2020; ლერნინგეფფს, 2020; პირველი არხი, 2020; კარგი სკოლა, 2020); რათა სწავლების პროცესი ყოფილიყო როგორც აკადემიური ცოდნის შემძენი, ასევე სახალისო და საინტერესო და მოსწავლეთა მოტივაციაზე დადებითი ასახვა ჰქონოდა.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და საქართველოს პირველმა არხმა დაიწყო საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა“. „ტელესკოლა“ დისტანციური სწავლების ერთ-ერთი ფორმატია. განათლების სისტემის გაჩერებამ პანდემიის პერიოდში, სოფლად მცხოვრებლები თითქმის მთლიანად დატოვა სახელმწიფოსგან შეთავაზებული რესურსების მიღმა. „ტელესკოლამ“ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მოსწავლეებზე, არ დატოვა ისინი სწავლის მიღმა.

ზოგადად, პანდემიის დროს მასწავლებლები და მოსწავლეები ურთულესი ამოცანის წინაშე დადგნენ.

აღსანიშნავია, რომ იყვნენ მასწავლებლები, რომელთაც პირველად მოუწიათ დისტანციურ სწავლებასთან შეხება, თუმცა უფრო კომპეტენტური მასწავლებლების დახმარებით, მათ შეძლეს დისტანციური სწავლებით სწავლება.

იყო გარკვეული ხარვეზები. მოსწავლე, ინტერნეტ და ტექნიკური მიზეზების გამო, ვერ ერთვებოდა ელექტრონულ ფორმატში, რის გამოც საგნის მასწავლებელი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული დავალების მიწოდებას და შესაბამისი კონსულტირების გაწევას სატელეფონო კომუნიკაციით. აღსანიშნავია, რომ ამ მოსწავლეთათვის ძალიან სასარგებლო იყო „ტელესკოლის“ გაკვეთილები.

მოსწავლეთა ნაწილს, რომელთაც არ მიუწვდებოდათ ხელი ტელევიზიაზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე, მათთვის ხორციელდებოდა ტესტების მატერიალური სახით მიწოდება ისე, რომ დაცული ყოფილიყო მთავრობის მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია და მოთხოვნა.



არაქართულენოვან სკოლებში კი, ეს ყველაფერი მეტად შრომატევადი იყო. არსებობს სოფლები, სადაც საერთოდ არ იჭერს ინტერნეტს, არის ოჯახები, სადაც არ აქვთ ტელეფონი და მოსწავლეები ძალაუვნებურად რჩებიან განათლების გარეშე. სამწუხაროა, რომ მოსწავლეთა ნაწილი საგაკვეთილო პროცესების მიღმა დარჩა. საყოველთაო იზოლაციის პირობებში, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შემდეგ, აუცილებელი გახდა სსსმ და შშმ მოსწავლეებისათვის ისეთი რელევანტური საგანმანათლებლო სერვისის შეთავაზება, რაც მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნებოდა. ვინაიდან მათი საჭიროებები მრავალფეროვანია, დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზებისას, დღის წესრიგში სწორედ მრავალფეროვანი საჭიროებების გათვალისწინება დადგა.

ამ მიზნით, სამინისტრომ არაერთი რეკომენდაცია შეიმუშავა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების მშობლებისა და სპეციალური მასწავლებლებისათვის. მომზადდა სარეკომენდაციო ვიდეორგოლი სპეციალური მასწავლებლებისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისთვის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა დისტანციური სწავლების ხელშეწყობისთვის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს დისტანციური სწავლების კუთხით პანდემიამდეც ჰქონდა გამოცდილება. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, 2016 წელს ქართველი და შერეული ოჯახების შვილებისთვის, რომლებიც ცხოვრობდნენ ინგლისში შექმნა პროგრამა. აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ბავშვებში, ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციას და მათ საქართველოსთან დაახლოების ხელშეწყობას, 5-15 წლამდე მოსწავლისთვის ქართულის, როგორც მშობლიური ენის შესწავლას დისტანციურად. ამ პროგრამის შემდგომ მასში ბევრი ემიგრანტი ბავშვი ჩაერთო. სწავლება ხორციელდება Microsoft პროგრამის Skype for business გამოყენებით, სადაც იმართება 30-წუთიანი გაკვეთილი კვირაში ორჯერ. ასევე აღსანიშნავია, რომ 2019 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, ხულოს მუნიციპალიტეტის ორი სოფლის – მთისუბნისა და პანტნარის საჯარო სკოლებში ინგლისური ენის

დისტანციური სწავლება დანერგა, რეგიონში უცხო ენების სპეციალისტების ნაკლებობის გამო.

### 1.3 უცხო ქვეყნების გამოცდილების გაზიარება დისტანციური სწავლების მიმართულებით

#### აზერბაიჯანი

ახალი კორონა ვირუსის გამო აზერბაიჯანის სახელმწიფომ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაავალა სწავლების ონლაინ რეჟიმზე გადასვლა. აზერბაიჯანის განათლების სამინისტრომ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შესთავაზა დისტანციური სწავლების რამოდენიმე ტიპი. სატელევიზიო გაკვეთილები „გაკვეთილის დრო“, სახელმწიფო ტელეარხზე დაიწყო 11 მარტს (Medeniyyet). აღნიშნული გაკვეთილები განკუთვნილი იყო ყველა კლასისათვის. (აზერბაიჯანის განათლების სამინისტრო, 11.03.2020). ჩატარდა 1621 ვიდეო გაკვეთილი, რომლებიც გამოქვეყნდა აზერბაიჯანის განათლების სამინისტროს პორტალზე "ვიდეო.ედუ.აზ", რომელიც შედგება 3D ანიმაციური ვიდეოსა და ხანის აკადემიის კლასებისგან. ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, ადგილობრივი და უცხოელი ინსტრუქტორების მონაწილეობით, კლასებისთვის მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამები. განათლების სამინისტროს მხარდაჭერით, 2 აპრილს სატელევიზიო მაუწყებლობით გავიდა პროექტი „ვირტუალური სკოლა“, რომლის მიზანი იყო მეტი ინტერაქტიულობა დისტანციურ განათლებაში და ონლაინ სწავლების შესაძლებლობების გაფართოება (აზერბაიჯანის განათლების სამინისტრო 31.03.2020).

ზოგადად, აზერბაიჯანული განათლებისთვის დისტანციური სწავლა-სწავლების ცნება ახალი არ არის. დისტანციური განათლება, როგორც განათლების ფორმა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ მიღებულ იქნა 2009 წლის კანონში, ხოლო საქართველოში 2020 წლის ივნისში. აზერბაიჯანის კანონში განათლების შესახებ (2009), დისტანციური განათლება განსაზღვრულია, როგორც „განათლების ტიპი“, სადაც სწავლების პროცესში ორგანიზებულია ელექტრონული, სატელეკომუნიკაციო, პროგრამული და ტექნიკური საშუალებები". აღსანიშნავია,

რომ ქვეყანაში მისი განხორციელების მექანიზმები საკმარისად არ არის შემუშავებული, ამიტომ დისტანციური განათლების დანერგვა, ჯერ კიდევ არ არის პრიორიტეტი ქვეყნის საგანმანათლებლო პროცესისათვის (ალიევა და რზაევა, 2019). ბოლოდროინდელ ნარკვევში (კარიმოვა და გარიბლი, 2019)

აზერბაიჯანში სახელმწიფო და მასწავლებლები დისტანციური სწავლებისთვის, შესაბამისად კვალიფიციურნი არ აღმოჩნდნენ. გაირკვა, რომ ბევრი მათგანი უპირატესობას ანიჭებს ტრადიციული სწავლების მეთოდს. COVID-19 კარანტინის განმავლობაში არასაკმარისი ტექნოლოგიური რესურსების სიმცირის გამო, ქვეყანაში საგანმანათლებლო დაწესებულებები არ აღმოჩნდნენ მზად ონლაინ განათლებისთვის. გარდა ამისა, დაახლოებით 150 000 მასწავლებელს არ ჰქონდა ტექნიკური შესაძლებლობების მართვის კომპეტენცია. (ჰაფთაზ. აზ, 2020)

## უკრაინა

უკრაინის ხელისუფლების პრიორიტეტია ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. აქედან გამომდინარე, უკრაინაში არსებულ სამინისტროებსა და შესაბამის სამსახურებს, ამავე ქვეყნის განათლების და მეცნიერების სამინისტროს ჩათვლით, უნდა მიეღოთ შესაბამისი ზომები, პანდემია COVID-19-თან დაკავშირებით. (02.02.2020)

12 მარტიდან კორონა ვირუსის საფრთხის გამო ყველა სასწავლო დაწესებულება უკრაინაში კარანტინის რეჟიმში ჩადგა. საწყის ეტაპზე, დისტანციური სწავლება დაიგეგმა 3 კვირის ვადით, განათლება წარიმართა ვირტუალურად. 31 მარტს პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის მიერ, გამოცხადდა უკრაინის ნაციონალური ონლაინ სკოლის პროექტი. ( საინფორმაციო სააგენტო უნიანი, 2020) - პროექტი ტელევიზიით გავიდა 6 აპრილს 11 განსხვავებულ არხზე. V-XI კლასებისების მოსწავლეებისთვის დაიწყო „ტელეგაკვეთილები“.

ბევრი საშუალო სკოლის მასწავლებელი მუშაობდა Google Classroom-ის პლატფორმაზე სამი წლის განმავლობაში, რომლის საშუალებით მათ

შესაძლებლობა ჰქონდათ შეემოწმებინათ და გაეკონტროლებინათ დავალებები, მოეძიებინათ სასარგებლო ვიდეოები და პრეზენტაციები. კვლევის თანახმად, მთავარი პრობლემა იმაში, იყო რომ ყველა მასწავლებელს არ შეეძლო სასწავლო მასალის გადაღება და ატვირთვა. ბევრი მასწავლებელი განიცდიდა სათანადო აღჭურვილობის ნაკლებობას და ასევე უჭირდათ დისტანციურად სწავლება. მაგალითისთვის, მათემატიკის მასწავლებლები ჯერ კიდევ ვერ უმკლავდებოდნენ მათემატიკის სწავლების პრობლემებს დაფის გამოყენების გარეშე. მიუხედავად ელექტრონული სწავლების გამოცდილებისა, არავინ იცოდა როგორ შეძლებდნენ გრძელი ონლაინ სწავლების სემესტრის ორგანიზებას,

ერთ-ერთი მასწავლებელი აღნიშნავდა, რომ სკოლის მოსწავლეები არ გამოირჩეოდნენ პასუხისმგებლობით დისტანციური სწავლა-სწავლების დროს.

დაწყებითი სკოლის მასწავლებლები, იყვნენ უარეს მდგომარეობაში. ყოველდღე მათ კოლეგებს უნდა დაერეკათ კლასის ყველა მშობელთან და აეხსნათ სათითაოდ, რა და როგორ ესწავლათ და წაეკითხათ ბავშვებს.

უკრაინაში ჩვეულებრივ, პირისპირ სწავლების გარდა ასევე იყო დისტანციური სწავლების სკოლები. ანა როსჩინა ერთ-ერთი ასეთი სკოლის დირექტორია. ის ამბობდა, რომ დისტანციური სწავლება უკრაინაში დამწყებ ფაზაშია, იმიტომ, რომ აქამდე მასზე მოთხოვნა არ ყოფილა. ზოგიერთი მასწავლებელი იყენებდა ამ სწავლებისთვის ერთეულ საშუალებებს, მაგრამ ზოგადად ამ სწავლების ინსტრუქციები აქამდე არ გამოიყენებოდა.

ანა ფიქრობდა, რომ დისტანციური სწავლა-სწავლების მეთოდი არის ნაკლებად ეფექტური, კლასს ყოველთვის სჭირდება კონტროლი და ორგანიზება გარედან.

დისტანციური (ონლაინ სკოლა) გაკვეთილები ოთხი წლის განმავლობაში, დაახლოებით 977-ჯერ იყო ჩატარებული. ამ დროის მონაკვეთში, როსჩინამ გაანალიზა, რომ დიდი პრობლემა არ ყოფილა ვიდეოებისა და პრეზენტაციების გაკეთებაში. მისთვის რთული იყო შვილის დაჯერება, რომ ამ ფორმატში ესწავლა.

ბევრი კოლეგა აღმოაჩენს, რომ მოსწავლეებს არ სურთ გააკეთონ რაიმე ონლაინ. ეს დრო შეიძლება იყოს ტყუილად დაკარგული ნაცვლად სწავლისა,“ - ამბობს ანა.

Prometheus-ის თანადამფუძნებელია ივან პრიმაჩენკო, რომელიც ამბობს, რომ დისტანციური სწავლება შეიძლება იყოს ისეთივე კარგი როგორცაა ტრადიციული სწავლება, ყველაფერი დამოკიდებულია, შინაარსზე.

## ბრიტანეთი

ბრიტანეთის მთავრობამ, კورونا ვირუსის პანდემიის სრულიად გავრცელებამდე, შესაბამისი ზომები მიიღო. ზოგიერთი სკოლა მოემზადა ონლაინ სწავლებისთვის: შეირჩა რესურსები, განხორციელდა მასწავლებლებისა და მოსწავლეების ტრენინგები, ტექნოლოგიების გამოყენებით (ბუსბი, 2020) მშობლები, რომელთაც ემინოდათ პანდემიის არ უშვებდნენ ბავშვებს სკოლაში. ამან საბოლოოდ ხელისუფლება დააფიქრა, მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება (ბიბისი, 2020).

განათლების დეპარტამენტმა (04.07.2020) გამოსცა წესი, რათა დამორჩილებოდნენ ძირითად კანონებს. განათლების დეპარტამენტის სტრატეგია იყო დისტანციური სწავლების მაქსიმალურად გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ბრიტანეთს დისტანციური სწავლების ნახევარ საუკუნოვანი გამოცდილება აქვს. მიუხედავად ამისა, ბრიტანეთში დისტანციური განათლება პირისპირ სწავლასთან შედარებით არ არის შესაბამისად დაფასებული. ონლაინ სწავლების ექსპერტებს და ადმინისტრატორებს პანდემიამდე ჰქონდათ დისტანციური სწავლების გამოცდილება. COVID-19-ის კრიზისმა მთლიანად შემოაბრუნა სისტემა დისტანციური სწავლისკენ. ამ ფორმით სწავლება იყო როგორც შველა და ხსნა, გამოსავალი კრიზისიდან (ველერი, 2020).

თუმცა ბევრი სკოლა არ არის კარგად მომზადებული ასეთი სწავლა-სწავლებისთვის. სოციალური დისტანციის დაცვის მიზნით საჭიროა მოსწავლეთა მშობლებთან კონტაქტი, დავალებებისა და წასაკითხი მასალის გაგზავნა ყველა

მშობლის მეილზე. მშობლებმა უნდა იხელმძღვანელონ ონლაინ მასალით და ბავშვებს დაეხმარონ სწავლაში. მასწავლებლები, იმისათვის რომ დაუკავშირდნენ მოსწავლეებს, იყენებენ ისეთ სოციალურ მედია პლატფორმებს, როგორებიცაა: Googlepliusi, Edmodo, TedEd, Pinterest, WordPress და ა.შ.

როგორც არ უნდა იყოს მხარდაჭერა და წინასწარი მომზადება, ინტერნეტით დაკავშირების პროცესი უკავშირდება ბევრ გამოწვევებს მოსწავლეებისათვის, მშობლებსა და მასწავლებლებისათვის. საიტები არის ხარვეზიანი და მასწავლებლები ამის გამო არიან დამაბულები, რათა გადააქციონ პირისპირ ჩართულობა ონლაინ დისკუსიებში. ბევრი ტექნიკური საკითხია მოსაგვარებელი, მაგალითად როგორ უნდა ჩატარდეს ტესტები და გამოცდები, ასევე არსებობს ბევრი პედაგოგიური და ფსიქოლოგიური საკითხები, რომლებიც საჭიროებენ განხილვას. (გუარდიანი, 2020).

## ავსტრალია

არსებული არგუმენტების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ონლაინ დისტანციური განათლება ოპერირებს საუკეთესოდ, როგორც დინამიური ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების სისტემა. ის შეიძლება გამოყენებულ იქნას, ტრადიციული სწავლების ნაცვლად გარკვეულ ვადაში ან სემესტრში (ჰოლმბერგი, 2005; პისიანო, 2017).

დისტანციური განათლების სფეროში მნიშვნელოვანია ჩართულობის სამი ფართოდ აღიარებული ფორმა, როგორც მნიშვნელოვანი პროგრამის განვითარებისა და მიწოდებისთვის: სტუდენტის კონტენტი, სტუდენტისა და სტუდენტის, სტუდენტის და მასწავლებლის (სიმონსონი, 2011). ეს ინტერაქციის ფორმები შეიძლება მიჩნეულ იყოს დაგეგმვის თითოეული ეტაპისათვის ონლაინ, დისტანციური სწავლების დროს

მონაცემები გვიჩვენებენ, რომ თანამშრომლობითი სწავლება ონლაინ გარემოში მეტად ზრდის მოსწავლეების მოტივაციას სწავლისადმი, ვიდრე ინდივიდუალური სწავლება. ჩართულობა ასევე აუცილებელია დისტანციურ

ფორმატში. ინტერაქტიული საქმიანობა და გუნდური მუშაობა, კარგად უნდა იყოს ინტეგრირებული სწავლის შინაარსის მიწოდებაში.

ბოლო წლებში არის დებატები მოსწავლის ეკრანთან გატარებული დროის რაოდენობასთან დაკავშირებით. ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს რაოდენობიდან ხარისხზე.

## აშშ

განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული მოსწავლეთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მათი მხრიდან კომპიუტერსა და ინტერნეტზე წვდომაზე, ასევე გათვალისწინებულ იქნა დისტანციური სწავლებისათვის საჭირო სასწავლო რესურსების არსებობა და მათი სკოლისთვის ხელმისაწვდომობა, ასევე მასწავლებლების მზაობა მეთოდოლოგიური კუთხით (ჯელაძე, 21.06.2020).

ზოგიერთმა სასკოლო ოლქმა მართებულად მიიჩნია, რომ არსებულ სიტუაციაში სასწავლო გეგმის შენარჩუნება არასწორი იქნებოდა, მათ პრინციპულად თქვეს უარი, პანდემიის პირობებში, ახალი სასწავლო მასალის ათვისებაზე და ძირითად მიზნად განვლილი მასალის გამეორება და უკვე დაუფლებული უნარების განმტკიცება დაისახეს.

სასკოლო ოლქების მეორე ნაწილის მიზანი იყო პანდემიამდე არსებული გეგმების შენარჩუნება, დისტანციური სწავლების დროს მათი ათვისება და ახალ სასწავლო მასალაზე მუშაობა. ეს გადაწყვეტილება იმ სასკოლო ოლქებმა მიიღეს, სადაც მოსწავლეებისა და მასწავლებლების მხრიდან დისტანციური სწავლებისთვის მეტი მზაობა არსებობდა.

თავდაპირველად, ზოგიერთმა სკოლამ დისტანციური სწავლება დაიწყო განმეორება-განმტკიცების მიზნით და მხოლოდ გარკვეული გამოცდილების მიღებისა და სწავლის ახალი ფორმატით მიმდინარეობის შეფასების შემდეგ გადავიდნენ სკოლები ახალი მასალის ათვისებაზე.

მრავალფეროვანი იყო დისტანციური სწავლების ფორმები: ციფრული, არაციფრული, სატელევიზიო და შერეული ფორმები.

უნდა ითქვას, რომ ამერიკაში ციფრული სწავლების ფორმებს, ტრადიციულ ფორმებთან ერთად, სკოლების დიდი ნაწილი პანდემიამდეც იყენებდა. მათთვის ეს ცვლილება ძალიან დიდი გამოწვევა არ ყოფილა. თუმცა, სინქრონული სწავლება, ანუ სკოლის ტრადიციული რეჟიმის ონლაინ რეჟიმით შეცვლა სკოლების შედარებით მცირე ნაწილში მოხერხდა. სკოლებმა, უმეტესად, ასინქრონულ სწავლებას მიმართეს. სწავლების ამ ფორმის საშუალებით მასწავლებლები სხვადასხვა პლატფორმას იყენებდნენ და მოსწავლეებს აწვდიდნენ საგაკვეთილო რესურსებს, გაიდებს, დავალებებს. ამასთან ერთად, კვირაში ერთხელ, ისინი ონლაინ რეჟიმში ხვდებოდნენ მთელ კლასს ბუნდოვანი თუ პრობლემური საკითხების ერთად განსახილველად. ასევე მასწავლებლები მართავდნენ ინდივიდუალურ ონლაინ შეხვედრებს მოსწავლეებთან. ხოლო იმ ოლქებში, სადაც მოსწავლეების დიდ ნაწილს არ ჰქონდა წვდომა კომპიუტერსა და ინტერნეტზე, სწავლების არაციფრული ფორმები გამოიყენეს. მოსწავლეებს დავალებებს ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად ფოსტით უგზავნიდნენ.

პანდემიის დროს ერთ-ერთი მთავარი საკითხი მოსწავლეთა შეფასება იყო. უმეტესად, ამოქმედდა ჩათვლების სისტემა. უმთავრესი ორიენტირი იყო სწავლა-სწავლებაზე მოსწავლეთა მაქსიმალურად თანაბარი ხელმისაწვდომობა.

ძალიან ბევრმა სკოლამ იმ მოსწავლეებს, რომლებსაც არ ჰქონდათ საკუთარი კომპიუტერები, დაურიგეს ლეპტოპები. ასევე, ინტერნეტ-კომპანიებთან თანამშრომლობით, სკოლებმა შეძლეს თითოეული მოსწავლისთვის, სიმბოლურ ფასად, ხელმისაწვდომი გაეხადათ ინტერნეტი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრიტიკულ სიტუაციაშიც შეეცადნენ, ყურადღების მიღმა არ დარჩენოდათ შშმ და სსსმ ბავშვები და მათთვის დისტანციური სწავლების მეთოდებისა და ფორმების ადაპტირება მოეხდინათ. თუმცა, უპირველესი აქცენტი მაინც მოსწავლეების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე გაკეთდა.

რადგანაც პრეპანდემიურ მდგომარეობაში დაბრუნების მცირე შანსი არსებობდა, ერთ-ერთ ვარიანტად განიხილავდნენ მომავალი სასწავლო წელი დისტანციური სწავლის წლად გამოეცხადებინათ და შესაბამისად დაეგემათ. ამიტომ ვარაუდობდნენ მთელ რიგ ცვლილებებს, როგორებიც არის:



მასწავლებლების ფუნქციების გადანაწილება, სასკოლო სივრცეების რეორგანიზაცია, ღია სივრცეების მაქსიმალურად გამოყენება სასწავლო პროცესში და სხვ.

### ჰონგ-კონგი

ჰონგ კონგის სკოლებში არდადეგები იყო, როდესაც კორონა ვირუსის აფეთქება მოხდა. სწავლა რომ არ შეფერხებულიყო, მთავრობამ გამოაცხადა პროგრამა „Suspending classes without suspending learning“ („სკოლების დახურვა სასწავლო პროცესის შეჩერების გარეშე“) და მოუწოდა სკოლებს, რა საშუალებითაც შეეძლოთ, ხელი შეეწყოთ სწავლის გაგრძელებისათვის. ცენტრალურად არ დაგეგმილა რომელიმე პროგრამის გამოყენება, სკოლებს მისცეს არჩევანი. საკუთარი რესურსებიდან გამომდინარე, სკოლებმა მოსწავლეებს სხვადასხვა ფორმით შესთავაზეს დისტანციური სწავლება. რესურსებით მდიდარმა საერთაშორისო სკოლებმა და ადგილობრივმა ელიტურმა სკოლებმა ყველაზე სწრაფად იმოქმედეს და ონლაინ სინქრონული სწავლება შესთავაზეს მოსწავლეებს შემდეგი პროგრამებით: Google Classroom, Google Hangouts, Google Meet, Explain Everything Whiteboard, Zoom, Seesaw, Epic. (ჯელაძე, 04.05.2020).

ბევრ საერთაშორისო სკოლაში, ყოველდღიურ სწავლებაში ისედაც იყენებდნენ ამ პროგრამებს და მათი ლიცენზიებიც აქვთ. ამიტომ არც ბავშვებს და არც მასწავლებლებს არ გაჭირვებიათ ვირტუალურ რეჟიმში გადასვლა, ხოლო ზოგიერთმა სკოლამ, რომელმაც ეს ვერ შეძლო, სკოლის ვებგვერდზე სასწავლო მასალების რეგულარულად ატვირთვა დაიწყო. ზოგი E-mail-ს იყენებდა, ზოგიც – WhatsApp-სა და Skype-ს. ზოგიერთმა სკოლამ კი დავალებების ფოსტით გაგზავნა არჩია.

მოსწავლეები დავალებას ასრულებდნენ Google Doc-ში და ონლაინ პირდაპირ ტვირთავდნენ. მასწავლებლები მათ კომენტარებს უწერდნენ და შეფასებასაც აძლევდნენ ონლაინ. ზოგიერთ დავალებას სჭირდებოდა ვიდეოს ან

ფოტოს გადაღება და ატვირთვა. ეს ყველაფერი მობილური ტელეფონის საშუალებით კეთდებოდა და Google Drive-ზე იტვირთებოდა.

სკოლის ბევრი მასწავლებლისთვის უცხო იყო ასეთი ტიპის სწავლება. ამიტომ მათ გაუჭირდათ არსებულ სიტუაციასთან ადაპტაცია. მოსწავლეთა გარკვეულ რაოდენობას არ ჰქონდა საკუთარი კომპიუტერი. მათ ნაწილს, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, არ გააჩნდათ შესაბამისი უნარები იმისთვის, რომ დისტანციურად დამოუკიდებლად ესწავლათ. ამიტომ გადამწყვეტი როლი ამ დროს ენიჭებოდათ მშობლებს. ამდენად, მთელი საზოგადოება ჩართული იყო ამ პროცესში. ეს არ იყო იოლი. თუმცა, მშობლების, სკოლების და მთავრობის დიდი ძალისხმევით სწავლების პროცესი საკმაოდ კარგად მიმდინარეობდა

## თავი 2. კვლევის მეთოდოლოგია

ჩვენი კვლევისთვის გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ ანკეტირება, რომელმაც საშუალება მოგვცა შეგროვებული მონაცემების მიხედვით, მიგველო ამომწურავი პასუხები საკვლევ კითხვებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენობრივი კვლევის მეთოდები ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებში. ამასთანავე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები, საშუალებას იძლევა მოსახლეობის დიდ ჯგუფებზე და გარკვეული საზოგადოების მასშტაბით მოხდეს შედეგების განზოგადება, რაც რაოდენობრივი კვლევის მეთოდების განსაკუთრებულ სანდოობაზე მეტყველებს. (წულაძე, 2008: 4-5).

ჩვენ ჩავატარეთ მასობრივი გამოკითხვა Google Forms-ის მეშვეობით. კითხვარი გავრცელდა 2 საჯარო და 2 კერძო სკოლის მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან, რომელიც გადაეგზავნათ მათ სოციალური ქსელებისა და ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით. გამოიკითხა, როგორც საჯარო ისე კერძო სკოლის 293 მოსწავლე, 208 მასწავლებელი და 311 მშობელი.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოვიყენეთ ღია და დახურული კითხვები, რამაც საშუალება მოგვცა პასუხები ყოფილიყო უფრო ამომწურავი და კვლევის მიზანთან მიახლოებული.

რაოდენობრივი კვლევის მონაცემების შედეგად დადგინდა პასუხები ყველა საკვლევ კითხვაზე, რომელთა დამუშავების შემდგომ მივიღეთ კვლევის შედეგები (იხ. დანართი №1).

აგრეთვე ჩვენი კვლევისთვის გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევა, კერძოდ ჩაღრმავებული ინტერვიუ.

თვისებრივი კვლევა სიღრმისეულად შეისწავლის სოციალურ ცხოვრებას. ხშირ შემთხვევაში ეს შესწავლა ხდება ბუნებრივ პირობებში იქ, სადაც ადამიანებს შორის ურთიერთობა რეალურად ვითარდება. თვისებრივი მეთოდების გამოყენების შედეგად მკვლევარს ეძლევა საშუალება, შენიშნოს, დააფიქსიროს და ახსნას ადამიანების ქცევის ისეთი ნიუანსები, რომლებიც შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებისას. თვისებრივი მეთოდების მეშვეობით ჩვენ უფრო ღრმა ცოდნას ვიღებთ, ვის მოსაზრებასაც შევისწავლით. ჩვენ არა მარტო ვაფიქსირებთ მათ გამოთქმულ აზრებს, არამედ საშუალებას ვაძლევთ ახსნან თავიანთი პოზიცია.

თვისებრივი მეთოდების უმრავლესობის წარმატებით გამოყენება შეუძლებელია რესპოდენტების აქტიური დახმარების გარეშე (ზურაბიშვილი, 2006: 6-8).

აღვნიშნავთ, რომ ჩვენი საკვლევითი თემისთვის წინასწარ განვსაზღვრეთ კონკრეტული რესპოდენტები, შევქმენით კითხვარი განათლების ექსპერტებთან (იხ. დანართი №2).

გვინდა ავღნიშნოთ, რომ კვლევის პროცესში მონაწილე თითოეულ რესპოდენტს წინასწარ გავაცანით კვლევის შინაარსი. განვუმარტეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათი მონაწილეობის მიღება არსებულ კვლევაში და წინასწარ შევათანხმეთ დრო მათთან ინტერვიუს ჩასაწერად.

ჩაღრმავებული ინტერვიუების მსვლელობისას, სხვადასხვა სიტუაციებიდან და ინტერვიუს კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლებლობა

მოგვეცა მოგვეხდინა კითხვების ადაპტირება. ეს გათვალისწინებული იყო კითხვარის ფორმატის შედგენისას. ინტერვიუს მსვლელობისას გამოიკვეთა რესპოდენტთა გულწრფელი და ამომწურავი პასუხები.

აღნიშნავთ, რომ ჩვენი ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევისთვის, წინასწარ განვსაზღვრეთ კონკრეტული რესპოდენტები, შევექმნით კითხვარები განათლების ექსპერტებისთვის.

კორონა ვირუსის საგანგებო მდგომარეობის გამო, რესპოდენტებთან პირისპირ შეხვედრა ვერ მოხერხდა, ამის გამო მათთან ინტერვიუს ჩატარება განხორციელდა Skype-ისა და WhatsApp აპლიკაციის გამოყენებით. ჩვენს ჩადრმავებულ ინტერვიუში მონაწილეობა მიიღო 5-მა რესპოდენტმა.

აღნიშნული კვლევის მიმდინარეობისას მიღებული შედეგების მონაცემები დავამუშავეთ და შევაჯერეთ.

### თავი 3. კვლევის შედეგები და მათი განსჯა

#### რაოდენობრივი კვლევა

ჩვენი კვლევის მონაცემების სწორად გაანალიზებისა და შედარებისთვის მნიშვნელოვანი იყო ორივე ტიპის სკოლების (საჯარო, კერძო) მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების მოკვლევა.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 4-მა სკოლამ:

- თბილისის 61-ე და 64-ე საჯარო სკოლებმა. კითხვარში მონაწილეობა მიიღეს 7-8-9-10-11 და 12 კლასების 121-მა მასწავლებელმა, 131-მა მოსწავლემ, 116-მა მშობელმა.
- კერძო სკოლების - „ამერიკული უმაღლესი სკოლა“ და „თანამედროვე განათლების აკადემიის“ 7-8-9-10-11-12 კლასების 87-მა მასწავლებელმა, 162-მა მოსწავლემ, 195 -მა მშობელმა.

ჩვენი კვლევა მთავარ აქცენტს აკეთებს კერო და საჯარო სკოლებში დისტანციური განათლების გამოწვევების შედარებაზე. ამ კუთხით გადავწყვიტეთ

გვეკვლია, თუ როგორ შეაფასებდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები მოსწავლეების პროგრესს ონლაინ სწავლების მე-12 კვირისთვის. ამ კითხვაზე სკოლის მასწავლებლების პასუხებზე დაყრდნობით, საჯარო სკოლის მასწავლებლები „საშუალოდ“ 52%-ით აფასებენ, ხოლო „დადებითად“ 38%-ით აფასებენ. რაც შეეხება კერძო სკოლების მასწავლებლების მონაცემებს აქ მასწავლებელთა 53% „საშუალოდ“, ხოლო 41% „დადებითად“ აფასებენ თავიანთი მოსწავლეების პროგრესს დისტანციური სწავლების მე-12 კვირისთვის.

ასევე საინტერესოა, რომ ამავე კითხვაზე მოსწავლეთა 43, 05% დადებითად აფასებს დისტანციური სწავლის პროგრესს, ხოლო 46,06% „საშუალოდ“ აფასებს. რაც შეეხება ჩვენი რესპოდენტი კერძო სკოლების მოსწავლეთა პასუხებს, მოსწავლეთა 47% „დადებითად“, 43,07% „საშუალოდ“ აფასებს.

საჯარო სკოლების მშობელთა 47% „საშუალოდ“ აფასებენ თავიანთი შვილების პროგრესს, ხოლო მშობელთა 42,06% - „დადებითად“, რაც შეეხება ამ კითხვის პასუხებში მონაწილე კერძო სკოლების მოსწავლეთა მშობლებს, 31,03% „საშუალოდ აფასებენ თავიანთი შვილების პროგრესს, ხოლო მშობელთა 53,01% „დადებითად“ აფასებს თავიანთი შვილების პროგრესს ონლაინ სწავლების მე-12 კვირისთვის.

რაც შეეხება მასწავლებლების მოსწავლეების და მშობლების კითხვებზე პასუხებს არიან თუ არა დაინტერესებულნი და ჩართულები ონლაინ გაკვეთილების პროცესში, ამ კითხვაზე საჯარო სკოლის მასწავლებლების პასუხებზე დაყრდნობით, 65,03% თვლის, რომ „მოსწავლეები საკმაოდ ჩართულნი და დაინტერესებულნი არიან“, ხოლო 12,04%, თვლის, რომ „მოსწავლეები ძალიან ჩართულნი და დაინტერესებულნი არიან ონლაინ გაკვეთილების პროცესში“. რაც შეეხება კერძო სკოლას, აქ მასწავლებლების 25% თვლის, რომ „მოსწავლეები საკმაოდ ჩართულნი და დაინტერესებულნი არიან“, ხოლო მასწავლებელთა 75%-ს მიაჩნია, რომ „მოსწავლეები ძალიან ჩართულნი და დაინტერესებულნი არიან ონლაინ გაკვეთილების პროცესში“.

საინტერესოა, რომ ამავე კითხვაზე საჯარო სკოლების მოსწავლეთა 38,02% აღნიშნავს რომ „ძალიან ჩართული და დაინტერესებულია“, ხოლო მოსწავლეთა

39,07% თვლის, რომ „საკმაოდ ჩართული და დაინტერესებულია” ონლაინ გაკვეთილების პროცესში. რაც შეეხება კერძო სკოლების მონაცემებს, აქ თითქმის თანაბარი პროცენტულობით 38,09%-ით აღნიშნავენ, რომ „ძალიან ჩართულნი და დაინტერესებულნი არიან“, ხოლო მოსწავლეთა 41,01% თვლის, რომ „საკმაოდ ჩართული და დაინტერესებულია“ ონლაინ გაკვეთილების პროცესში.

ამავე კითხვაზე მშობლების 36,05% თვლის, რომ მათი შვილები „ძალიან ჩართულები და დაინტერესებულები არიან“, ხოლო 42,06% თვლის, რომ მათი შვილები „საკმაოდ ჩართულები და დაინტერესებულები არიან“. რაც შეეხება კერძო სკოლების მშობლების ამ კითხვაზე მონაცემებს, მშობელთა 43,04% აღნიშნავს, რომ მათი შვილები „ძალიან ჩართულები და დაინტერესებულები არიან“, ხოლო 41,04% თვლის, რომ მათი შვილები „საკმაოდ ჩართულები და დაინტერესებულები არიან“.

თუ როგორ შეაფასებდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები მოსწავლეების პროგრესს დავალებების შესრულებაში, საჯარო სკოლების მასწავლებელთა 32,02% „დადებითად“, ხოლო 62,08% „საშუალოდ“ აფასებს თავიანთი მოსწავლეების პროგრესს დავალებების შესრულებაში. რაც შეეხება კერძო სკოლების მასწავლებლებს, 61,08% „დადებითად“, ხოლო 27,08% „საშუალოდ“ აფასებს.

ასევე საინტერესოა, რომ ამავე კითხვაზე მოსწავლეთა 48,01% „დადებითად“ აფასებს, ხოლო 45% „საშუალოდ“, რაც შეეხება კერძო სკოლას, აქ მოსწავლეთა 51% „დადებითად“, ხოლო მოსწავლეთა 38, 09% „საშუალოდ“ აფასებს თავიანთ პროგრესს დავალებების შესრულებაში.

საჯარო სკოლების მშობელთა 55,07% „დადებითად“, ხოლო 40% „საშუალოდ“ აფასებენ თავიანთი შვილების პროგრესს დავალებების შესრულებაში. რაც შეეხება კერძო სკოლას, მასწავლებელთა 37,05% „დადებითად“, ხოლო 46,09% „საშუალოდ“ აფასებს თავიანთი შვილების პროგრესს დავალებების შესრულებაში.

თუ როგორ შეაფასებდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ონლაინ სწავლებისას აქტივობებს ეკრანთან, ამ კითხვაზე სკოლის

მასწავლებლების პასუხებზე დაყრდნობით, საჯარო სკოლის მასწავლებლების 72,07% აღნიშნავს, რომ „სწორი რაოდენობითაა“, ხოლო 5% აღნიშნავს რომ „ზედმეტია“. რაც შეეხება კერძო სკოლების მასწავლებელთა მონაცემებს, 75% თვლის, რომ „სწორი რაოდენობითაა“, ხოლო 1,06% თვლის, რომ „ზედმეტია“.

ასევე საინტერესოა, რომ ამავე კითხვაზე მოსწავლეთა 77,09% აღნიშნავს, რომ „სწორი რაოდენობითაა“, ხოლო 8,04% აღნიშნავს, რომ „ზედმეტია“, რაც შეეხება კერძო სკოლების მოსწავლეთა მონაცემებს, აქ 78,01% თვლის, რომ „სწორი რაოდენობითაა“, ხოლო 9,09% თვლის, რომ „ზედმეტია“.

ამავე კითხვაზე საჯარო სკოლების მშობელთა 67% თვლის, რომ ონლაინ სწავლებისას აქტივობები ეკრანთან „სწორი რაოდენობითაა“, ხოლო მშობლების 14,08% თვლის, რომ „ზედმეტია“. რაც შეეხება კერძო სკოლების მშობელთა მონაცემებს, მშობელთა 66,08 % თვლის რომ „სწორი რაოდენობითაა“ და მშობელთა 14,00% თვლის რომ „ზედმეტია“.

თუ როგორ შეაფასებდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ონლაინ სწავლებისას აქტივობებს ეკრანს მიღმა, საჯარო სკოლების მასწავლებელთა 62,08% თვლის რომ „სწორი რაოდენობითაა“, ხოლო 5,08% თვლის რომ „ზედმეტია“. რაც შეეხება კერძო სკოლების მასწავლებლებს, მასწავლებელთა 66,08% აღნიშნავს, რომ „სწორი რაოდენობითაა“, ხოლო 3% „ზედმეტია“.

ასევე საინტერესოა, რომ ამავე კითხვაზე მოსწავლეთა 77,09% თვლის, რომ ეკრანს მიღმა აქტივობები „სწორი რაოდენობითაა, ხოლო 9,02% თვლის, რომ „ზედმეტია“. რაც შეეხება კერძო სკოლების მოსწავლეთა მონაცემებს, 78% მიაჩნია, რომ „სწორი რაოდენობითაა“, ხოლო 9,09% მიაჩნია, რომ „ზედმეტია“.

საჯარო სკოლების მშობელთა 69,06% აღნიშნავს, რომ დისტანციური სწავლებისას აქტივობები ეკრანს მიღმა „სწორი რაოდენობითაა“, ხოლო 6,01% აღნიშნავს, რომ „ზედმეტია“. რაც შეეხება კერძო სკოლების მოსწავლეებს, მოსწავლეთა 66,07% აღნიშნავს, რომ „სწორი რაოდენობითაა“, ხოლო 10,10% აღნიშნავს, რომ „ზედმეტია“.

თუ როგორ შეაფასებდნენ დისტანციური სწავლებისას საშინაო დავალებებს

მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები, ამ კითხვაზე საჯარო სკოლის მასწავლებლების პასუხებზე დაყრდნობით, მასწავლებელთა 71,01% თვლის, რომ „სწორი რაოდენობითაა“, ხოლო 8,03% თვლის, რომ „ზედმეტია“, რაც შეეხება კერძო სკოლების მასწავლებელთა პასუხებს, მასწავლებელთა 79,01% თვლის, რომ სწორი რაოდენობითაა, ხოლო 1,09% თვლის, რომ „ზედმეტია“.

საინტერესოა ამ კითხვაზე მოსწავლეთა პასუხები, საჯარო სკოლების მოსწავლეთა 83,02% აღნიშნავს, რომ სწორი რაოდენობითაა, ხოლო 9,02% აღნიშნავს, რომ ზედმეტია. რაც შეეხება კერძო სკოლების მოსწავლეებს 76,01% აღნიშნავს, რომ „სწორი რაოდენობითაა“, ხოლო 12,06% აღნიშნავს, რომ „ზედმეტია“.

მშობელთა პასუხებს თუ დავუკვირდებით საჯარო სკოლების მშობლების 78,03% თვლის, რომ „სწორი რაოდენობითაა“, ხოლო 5,02% თვლის რომ „ზედმეტია“. რაც შეეხება კერძო სკოლების მასწავლებელთა მონაცემებს, მასწავლებელთა 77,08% თვლის, რომ „სწორი რაოდენობითაა“, ხოლო 4% თვლის, რომ „ზედმეტია“.

მოსწავლეების სწავლაში ჩართულობის ხარისხთან დაკავშირებით მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მოსაზრებების გათვალისწინებით დისტანციური სწავლის პირობებში პასუხებიდან გამომდინარე, საჯარო სკოლების მასწავლებელთა 49,06% თვლის, რომ ბავშვებს სწავლაში „ჩართულობა არ შეცვლიათ“, ხოლო 17,04% თვლის რომ „ჩართულობა უფრო გაეზარდათ“. კერძო სკოლების მასწავლებელთა 51% თვლის, რომ ბავშვებს სწავლაში „ჩართულობა არ შეეცვალათ“, ხოლო 20% თვლის რომ „ჩართულობა უფრო გაეზარდათ“.

ასევე საინტერესოა რომ ამავე კითხვაზე საჯარო სკოლების მოსწავლეთა 24,04% აღნიშნავს, რომ სწავლაში „ჩართულობა უფრო გაეზარდათ“, ხოლო 32,01% აღნიშნავს, რომ სწავლაში „ჩართულობა არ შეცვლიათ“ და კერძო სკოლების მოსწავლეთა 20% თვლის რომ სწავლაში „ჩართულობა უფრო გაეზარდათ“, ხოლო 57% აღნიშნავს, რომ სწავლაში „ჩართულობა არ შეცვლიათ“.

მშობელთა პასუხებს თუ დავუკვირდებით, საჯარო სკოლების მშობელთა 55,07%



აღნიშნავს, რომ მათ შვილებს სწავლაში „ჩართულობა არ შეცვლიათ“, ხოლო 16,05% აღნიშნავს, რომ სწავლაში „ჩართულობა უფრო გაეზარდათ“ და კერძო სკოლების მშობელთა 72,06% თვლის რომ მათ შვილებს სწავლაში „ჩართულობა არ შეცვლიათ“, ხოლო 13,04% აღნიშნავს, რომ სწავლაში „ჩართულობა გაეზარდათ“.

არის თუ არა განსხვავება მასწავლებლების მოსწავლეების და მშობლების აზრით მოსწავლეების სწავლის მოტივაციაში, სწავლის პირისპირ და სწავლის დისტანციურად სწავლების შემთხვევაში, საჯარო სკოლების მასწავლებელთა 57,09% თვლის, რომ არის „მცირე განსხვავება“, ხოლო 14,09% აღნიშნავს, რომ „არ არის განსხვავება სწავლის მოტივაციაში“ და კერძო სკოლების მასწავლებელთა 49,09% აღნიშნავს, რომ არის „მცირე განსხვავება“, ხოლო 32,06% აღნიშნავს, რომ „განსხვავება არ არის სწავლის მოტივაციაში“.

ასევე საინტერესოა, რომ ამავე კითხვაზე საჯარო სკოლების მოსწავლეთა 33,06% აღნიშნავს, რომ „არ არის განსხვავება“ მათი სწავლის მოტივაციაში, ხოლო 38,02% აღნიშნავს, რომ არის „მცირე განსხვავება“. რაც შეეხება კერძო სკოლების მოსწავლეებს, მოსწავლეთა 28,01% აღნიშნავს, რომ „არ არის განსხვავება“, ხოლო 45,06 % აღნიშნავს, რომ არის „მცირე განსხვავება“.

რაც შეეხება ამ კითხვაზე მშობელთა მოსაზრებებს, საჯარო და კერძო სკოლების მშობელთა პასუხები ერთმანეთს ემთხვევა 49,06% აღნიშნავს, რომ „არის მცირე განსხვავება“, ხოლო 26,01% თვლის რომ „განსხვავება არ არის“.

თუ როგორია მასწავლებლების მზაობა დისტანციური სწავლება სწავლისადმი, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მოსაზრებიდან გამომდინარე, მასწავლებლების 55,04% აღნიშნავს, რომ იყო „ნაწილობრივ მომზადებული“, ხოლო 22,03% აღნიშნავს, რომ იყო „მომზადებული“ და კერძო სკოლების მოსწავლეებელთა 61,08% აღნიშნავს, რომ იყო „ნაწილობრივ მომზადებული“, ხოლო 38,01% აღნიშნავს, რომ იყო „მომზადებული“.

რაც შეეხება მოსწავლეების მოსაზრებებს, საჯარო სკოლების მოსწავლეთა 59,05% აღნიშნავს, რომ „მასწავლებლები იყვნენ მომზადებულები“, ხოლო 29,08% აღნიშნავს აღნიშნავს, რომ მასწავლებლები „ნაწილობრივ იყვნენ

მომზადებულები“. რაც შეეხება კერძო სკოლების მოსწავლეებს, 79,09% აღნიშნავს, რომ „მასწავლებლები იყვნენ მომზადებულები“, ხოლო 27,06% აღნიშნავს, რომ მასწავლებლები „ნაწილობრივ იყვნენ მომზადებულები“.

ასევე დაინტერესოა, რომ ამავე კითხვაზე საჯარო და კერძო სკოლების მშობელთა თანაბარი რაოდენობა 53% თვლის, რომ „მასწავლებლები იყვნენ მომზადებულები“, ხოლო ამავე სკოლების მშობელთა 34,08% თვლის, რომ „მასწავლებლები ნაწილობრივ იყვნენ მომზადებულები“.

თუ როგორია მოსწავლეების მზაობა დისტანციური სწავლება სწავლისადმი, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მოსაზრებიდან გამომდინარე, მასწავლებლების 52,01% თვლის, რომ მოსწავლეები ნაწილობრივ იყვნენ მომზადებულები, ხოლო 7,04% თვლის, რომ მოსწავლეები იყვნენ მომზადებულები. რაც შეეხება კერძო სკოლებს, მასწავლებელთა 75,08% თვლის, რომ „მოსწავლეები ნაწილობრივ იყვნენ მომზადებულები“, ხოლო 23% თვლის, რომ „მოსწავლეები იყვნენ მომზადებულები“.

რაც შეეხება მოსწავლეებს 35,09% აღნიშნავს, რომ „იყო მომზადებული“, ხოლო 44,03% აღნიშნავს, რომ „ნაწილობრივ იყო მომზადებული“. რაც შეეხება კერძო სკოლის მოსწავლეებს, 36% აღნიშნავს, რომ „იყო მომზადებული“, ხოლო 58% აღნიშნავს, რომ „ნაწილობრივ იყო მომზადებული“.

ასევე საინტერესოა ამავე კითხვაზე საჯარო და კერძო სკოლების მშობელთა მოსაზრებები, საჯარო და კერძო სკოლების მშობელთა თანაბარი რაოდენობა 33,09% თვლის რომ მათი „შვილები იყვნენ მომზადებულები“, ხოლო ამავე კითხვაში მშობლების 39,01% თვლის, რომ „ბავშვები ნაწილობრივ იყვნენ მომზადებულები“.

საინტერესოა მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა გასაგები დისტანციურად ახსნილი გაკვეთილი მოსწავლეებისთვის. ამ კითხვაზე საჯარო სკოლების მასწავლებელთა 72,07% აღნიშნავს, რომ „გასაგებია“, ხოლო 27,03% აღნიშნავს, რომ „ნაწილობრივ გასაგებია“. რაც შეეხება კერძო სკოლების მასწავლებლებს, 78, 09% აღნიშნავს, რომ „გასაგებია“, ხოლო 21,03% აღნიშნავს, რომ „ნაწილობრივ

გასაგებია“.

რაც შეეხება მოსწავლეებს, საჯარო სკოლების მოსწავლეთა 51,09% აღნიშნავს, რომ გასაგებია, ხოლო 45% აღნიშნავს, რომ „ნაწილობრივ გასაგებია“. რაც შეეხება კერძო სკოლების მოსწავლეებს 62,08% აღნიშნავს, რომ „გასაგებია“, ხოლო 36% აღნიშნავს, რომ „ნაწილობრივ გასაგებია“.

საინტერესოა ამ კითხვაზე საჯარო და კერძო სკოლების მშობელთა მოსაზრებები, ორივე ტიპის სკოლების მშობლების თანაბარი რაოდენობა 50,04% თვლის, რომ „გასაგებია“ მათი შვილებისთვის დისტანციურად ახსნილი გაკვეთილი, ხოლო 45,02% აზრით, „ნაწილობრივ გასაგებია“.

დისტანციური სწავლებით სწავლება მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვისა და მშობლებისთვის კითხვაზე, ახდენს თუ არა გავლენას მოსწავლის მოტივაციაზე სწავლისადმი, საჯარო სკოლების მასწავლებელთა 62% აღნიშნავს, რომ „ახდენს გავლენას“, ხოლო 33,09% აღნიშნავს, რომ „ნაკლებად ადენს გავლენას“. რაც შეეხება კერძო სკოლების მასწავლებლებს, 47,06% აღნიშნავს, რომ „ახდენს გავლენას“, ხოლო 42,09% აღნიშნავს, რომ „ნაკლებად ახდენს გავლენას“.

რაც შეეხება მოსწავლეების მოსაზრებებს ამ კითხვაზე, 42% თვლის რომ „ახდენს გავლენას“, ხოლო 38, 09% თვლის, რომ „ნაკლებად ახდენს გავლენას“, რაც შეეხება კერძო სკოლებს მოსწავლეთა 58% აღნიშნავს, რომ „ახდენს გავლენას“, ხოლო 33,04% აღნიშნავს, რომ „ნაკლებად ახდენს გავლენას“.

ასევე საინტერესოა ამავე კითხვაზე საჯარო და კერძო სკოლების მშობელთა მოსაზრებები, ორივე ტიპის სკოლების მოსწავლეთა მშობლების 48,07% თვლის, რომ „ახდენს გავლენას“, ხოლო მშობელთა 33,09% თვლის, რომ „ნაკლებად ახდენს გავლენას“.

თუ როგორ ხდება კომუნიკაცია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ინტერნეტისა და ტექნიკის არარსებობის ან ხარვეზის ყოფნის შემთხვევაში, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების მოსაზრებები საინტერესოა.

საჯარო სკოლების მასწავლებელთა 52,09% აღნიშნავს, რომ კომუნიკაცია ხდება შეძლებისდაგვარად, ხელმისაწვდომი ტექნიკისა და ინტერნეტის

გამოყენებით, ხოლო 9,01% აღნიშნავს, რომ ინტერნეტის, ტექნიკის ან რაიმე ხარვეზის ქონა არ ყოფილა. რაც შეეხება კერძო სკოლების მასწავლებლებს, 27, 03% აღნიშნავს, რომ კომუნიკაცია ხდება შეძლებისდაგვარად, ხელმისაწვდომი ტექნიკისა და ინტერნეტის გამოყენებით, ხოლო 72,07% აღნიშნავს, რომ ინტერნეტის, ტექნიკის ან რაიმე ხარვეზის ქონა არ ყოფილა. მხოლოდ საჯარო სკოლების მასწავლებლების 9,01% აღნიშნავს, რომ კომუნიკაცია ვერ ხერხდება

ასევე საინტერესოა მოსწავლეთა მოსაზრებები, საჯარო სკოლების მოსწავლეთა 40,05% აღნიშნავს, რომ კომუნიკაცია ხდება შეძლებისდაგვარად, ხელმისაწვდომი ტექნიკისა და ინტერნეტის გამოყენებით, ხოლო 9,09% აღნიშნავს, რომ ინტერნეტის, ტექნიკის ან რაიმე ხარვეზის ქონა არ ყოფილა. რაც შეეხება საჯარო სკოლების მოსწავლეებს, მოსწავლეთა 11% აღნიშნავს, რომ კომუნიკაცია ხდება შეძლებისდაგვარად, ხელმისაწვდომი ტექნიკისა და ინტერნეტის გამოყენებით, ხოლო 89% აღნიშნავს, რომ ინტერნეტის, ტექნიკის ან რაიმე ხარვეზის ქონა არ ყოფილა.

რაც შეეხება საჯარო და კერძო სკოლების მშობლების მოსაზრებებს, მშობელთა 40% თვლის, რომ კომუნიკაცია ხდება შეძლებისდაგვარად, ხელმისაწვდომი ტექნიკისა და ინტერნეტის გამოყენებით, ხოლო 22,06% კომუნიკაცია ხდება ტელეფონის მეშვეობით.

საინტერესოა ახერხებენ თუ არა მასწავლებლები და მოსწავლეები დისტანციური სწავლის პირობებში კონსულტაციებისა და დისკუსიების გამართვას. ამ კითხვაზე მასწავლებლების პასუხებიდან გამომდინარე, საჯარო სკოლების მასწავლებელთა 56,02% აღნიშნავს, რომ „ახერხებს“, ხოლო 41,03% აღნიშნავს, რომ „ნაწილობრივ ახერხებს“. რაც შეეხება კერძო სკოლების მასწავლებლებს, მასწავლებელთა 98% აღნიშნავს, რომ ახერხებს, ხოლო 2% აღნიშნავს, რომ ნაწილობრივ ახერხებს.

რაც შეეხება ამ კითხვაზე სკოლების მოსწავლეთა პასუხებს, საჯარო სკოლების მოსწავლეთა 44,03% აღნიშნავს, რომ „ახერხებს“, ხოლო 44,03% აღნიშნავს, რომ „ნაწილობრივ ახერხებს“ და კერძო სკოლების მოსწავლეთა 47% აღნიშნავს, რომ „ახერხებს“, ხოლო 42,09% აღნიშნავს, რომ „ნაწილობრივ

ახერხებს“.

რაც შეეხება კერძო და საჯარო სკოლების მშობელთა მოსაზრებებ, მშობელთა 59,01% აღნიშნავს, რომ „იმართება“, ხოლო ამავე კითხვაში მშობელთა 26,01% აღნიშნავს, რომ „იშვიათად იმართება“.

**საგულისხმოა რომ ჩვენ რაოდენობრივ კვლევაში გვქონდა ასევე ღია კითხვებიც, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისთვის. ქვემოთ წარმოვადგენთ მათ შეჯამებას:**

- კითხვაზე თუ რა იყო ბოლო კვირების განმავლობაში მასწავლებლების უდიდესი პროფესიული მიღწევა, ასეთი პასუხები მივიღეთ:

მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ დისტანციური სწავლების ბოლო კვირებისთვის, შეძლეს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. ასევე მოსწავლეებისთვის მოახერხეს სასწავლო მასალის სრულად და ხარისხიანად მიწოდება, მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა, მოსწავლეებში საგნის დონის შენარჩუნება, ისწავლეს გაკვეთილების, პრეზენტაციების, ტესტირების ონლაინ ჩაწერა, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება, საინტერესო დავალებები, ხოლო ბავშვებმა ისწავლეს Teams-ის პროგრამაში მუშაობა და პრეზენტაციების გაკეთება. მასწავლებლები თვლიან, რომ შეძლეს დისტანციური სწავლების მოდელზე მორგება, მათთვის გამოიკვეთა გასაუმჯობესებელი მხარეები, შექმნეს მრავალფეროვანი ელექტრონული სასწავლო რესურსი, საგაკვეთილო მასალა ამოწურეს და მოსწავლეებმა ტესტები ამოხსნეს. პედაგოგებმა ჩაატარეს საინტერესო გაკვეთილები, პრეზენტაციების და თამაშების გამოყენებით, კარგად შეისწავლეს ოფის 365-ის რამდენიმე პროგრამა, რაც მომავალში აუცილებლად გამოადგებათ. რაც ყველზე მთავარია მოახერხეს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა.

- რა იყო ბოლო კვირების მანძილზე მოსწავლეებისთვის უდიდესი მიღწევა?

მოსწავლეები თვლიან, რომ ყურადღებით იყვნენ ჩართულნი დისტანციურ გაკვეთილებში, დაიხვეწნენ Word და Powerpoint პროგრამებში, შეძლეს დროის სწორად განაწილება, შეინარჩუნეს სწავლის მოტივაცია დისტანციური სწავლების მსვლელობისას. მოსწავლეები მიღწევად თვლიან მასწავლებელთან კონტაქტს,

მიაჩნიათ, რომ უკეთ დაიწყეს დისტანციური სწავლა და მეტი თავისუფალი დრო ჰქონდათ. აღნიშნავენ, რომ იმდენად აღარ ზარმაცობენ, უფრო კარგად ისმენდნენ, რადგან თუ რამე გამორჩეობდათ, თავიდან უყურებდნენ გაკვეთილის ვიდეო ჩანაწერს. მოსწავლეებმა შეძლეს სემესტრის გადალახვა დადებით ნიშნებზე და შემაჯამებელი, ანუ კომპლექსური დავალება მეტ-ნაკლებად წარმატებით ჩააბარეს. ჩართულობის დონე იყო მაღალი, გაიგეს და ისწავლეს ბევრი რამ და უფრო მეტად განუვითარდათ საკუთარ თავზე მუშაობის უნარები.

- რა იყო ბოლო კვირების დისტანციური სწავლების მანძილზე მშობლების აზრით მოსწავლეების ყველაზე დიდი მიღწევა?

მშობლების აზრით, მათი ბავშვების მიღწევაა, რომ დაასრულეს სემესტრი და დაძლიეს პროგრამა. ყველა დავალებას ასრულებდნენ და უფრო მეტი გულმოდგინებით მეცადინებდნენ. მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ბავშვები ყველა დავალების შესრულებას. კარგად აითვისეს ონლაინ ტექნოლოგიები. ჰქონდათ მეტი აქტივობა, სწავლა და მოტივაცია არ შეუწყვეტიათ, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ზოგიერთის ბავშვი ნაკლებად ერთვებოდა დისტანციურ სწავლაში. ინტერნეტი არ ჰქონდათ და ბოლო კვირას ბავშვების უმრავლესობა ვერ ესწრებოდა. მოსწავლეები, უფრო მეტად ადაპტირებულნი იყვნენ დისტანციურ სწავლა-სწავლებაში, პასუხისმგებლიანი, დამოუკიდებელნი, მობილიზებულნი და ორგანიზებულნი გახდნენ.

- როგორ შეაფასებდნენ მასწავლებლები დისტანციური სწავლების გამოცდილებას ამ დროისთვის?

მასწავლებელთა უმრავლესობა დადებითად და საშუალოდ აფასებს დისტანციური სწავლების გამოცდილებას, მაგრამ ისურვებდნენ მეტს. ისინი თვლიან, რომ დისტანციური სწავლება ვერასდროს ჩაანაცვლებს საკლასო ოთახში მიმდინარე სასწავლო პროცესს. ასევე აღმოაჩინეს საინტერესო აქტივობები და მზად არიან სწავლის ამ ფორმატით გაგრძელების შემთხვევაში, ყველაფერი კარგად დაგეგმონ. მიუხედავად გამოცდილებისა, მათი აზრით კლასში ბავშვებთან ყოფნას არაფერი სჯობს. მათ უფრო ბევრ რესურსთან და პროგრამასთან ჰქონდათ წვდომა, ამ მეთოდით სწავლება კარგი იყო, რადგან

მოსწავლეებს უწევდათ დამატებითი ფილმების და Youtube-ის გამოყენებით სხვადასხვა საინტერესო და შემეცნებითი ვიდეოების ყურება. გამოცდილება მიიღეს, როგორც პედაგოგებმა ასევე მოსწავლეებმა. დადებითი შეფასება ასეთი იყო, მოსწავლეები საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროცესებში, მოხერხდა მცირე პროექტების ორგანიზება, მიიღეს დიდი გამოცდილება, რაც მასწავლებლებს საშუალებას მისცემს მზად იყვნენ მსგავსი გამოწვევებისათვის, აგრეთვე, ახალი მეთოდის შემუშავებისთვის, რასაც მომავალში გამოიყენებენ. ფიქრობენ, რომ საჭიროა უფრო დახვეწილი პროგრამების მიწოდება. როგორ აფასებენ მოსწავლეები ონლაინ სწავლების გამოცდილებას ამ დროისთვის?

მოსწავლეთა უმრავლესობა დადებითად და საშუალოდ აფასებს ონლაინ სწავლებას, თუმცა არიან ისეთი მოსწავლეები, რომელთაც ცოდნის შექმნა არ მოსწონთ დისტანციურად და ისინი უპირატესობას ანიჭებენ პირისპირ სწავლებას. მოსწავლეები თვლიან, რომ კარგი გამოცდილება მიიღეს დისტანციური სწავლა-სწავლების მეშვეობით, მართალია, მათთვის დისტანციური სწავლება მთლიანად არ ცვლის პირისპირ სწავლებას, თუმცა სწავლების პროცესის ნაწილი საკმაოდ კარგია.

- როგორ შეაფასებდნენ მშობლები ონლაინ სწავლების გამოცდილებას დისტანციური სწავლების განმავლობაში?

მშობლები თვლიან რომ დისტანციური სწავლება იმ დროისთვის ყველაზე კარგი მიდგომა იყო სასწავლო პროცესის სწორად გასამართად. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ხარვეზი წარმოიქმნა მაქსიმუმს აკეთებდნენ მასწავლებლები და ბავშვები. მშობლები ფიქრობენ, რომ ყველაფერი ნორალურად წარიმართა, თუმცა ისინი თვლიან, რომ პირისპირ სწავლებით უკეთესი შედეგები მიიღწევა და სასკოლო სწავლება უფრო მნიშვნელოვანია. თუმცა ისინი თვლიან, რომ მათთვის ბევრი რამ გაუგებარი და აუხსნელი დარჩა. როგორია მასწავლებლების რჩევა, რომელიც მათი აზრით ონლაინ სწავლებას გააუმჯობესებს?

მასწავლებელთა აზრით უნდა მოხდეს მათი და მოსწავლეების უზრუნველყოფა ტექნიკურად გამართული კომპიუტერებით და მაღალი ხარისხის ინტერნეტით, რათა ნებისმიერ დროს განახორციელონ ჩართვა. ისინი თვლიან,

რომ უნდა მოხერხდეს მასწავლებლებისთვის ტრენინგების ან ვებინარების ჩატარება რათა უკეთესად დაგეგმონ ონლაინ გაკვეთილები. მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ გაკვეთილების ხანგრძლივობა უნდა გაიზარდოს და გამოყენებული იქნას უფრო მეტი რესურსი სახალისო გაკვეთილებისათვის. ისინი ასევე მიიჩნევენ Teams-ის პროგრამის უფრო დახვეწას და გაკვეთილების წინასწარ დაგეგმვას, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები. მათი აზრით, კარგი იქნება, თუ მოსწავლეები შეფასდებიან, ეს მათ მოტივაციას გაზრდის.

- როგორია მოსწავლეების რჩევა, რომელიც მათი აზრით ონლაინ სწავლებას გააუმჯობესებს?

მოსწავლეების აზრით, კარგი იქნებოდა გაკვეთილებისთვის დროის დამატება და გაკვეთილებს შორის შესვენება. მაღალმთიანი მოსახლეობის ბავშვებისათვის ტექნიკითა და ინტერნეტით უზრუნველყოფა, ასევე აპლიკაციის გამართულობა. დისტანციური სწავლების უკეთ წარმართვისთვის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის დისკუსიების წარმართვა, დისტანციური სწავლების უკეთ წარმართვისთვის ტრენინგების ჩატარება და Teams-ის გამართული მუშაობა.

- როგორია მშობლების რჩევა, რომელიც მათი აზრით ონლაინ სწავლებას გააუმჯობესებს?

მშობლები თვლიან რომ უნდა დაიხვეწოს პროგრამული უზრუნველყოფა, ელექტრონული მასალები, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის დამყარდეს უკუკავშირი. გაკვეთილის ჩართვები განხორციელდეს დაგეგმილად და არა სპონტანურად. მშობელთა აზრით სკოლაში სიარულს ვერაფერი ჩაანაცვლებს.

- თუ არის განსხვავება თქვენი მოსწავლეების სწავლის მოტივაციაში, სწავლის პირისპირ და სწავლის დისტანციურად სწავლების შემთხვევაში რა განსხვავებაა?

მასწავლებლების აზრით, მოსწავლეების მოტივაცია განსხვავდებოდა, ზოგიერთი მოსწავლე პირისპირ სწავლების პროცესში უფრო მოტივირებული აღმოჩნდა, ზოგი კი პირიქით, პასიური მოსწავლეებიც კი გააქტიურდნენ. ისინი



თვლიან, რომ პირისპირ სწავლება მართალია ვერ შეედრება დისტანციური სწავლებას მაგრამ მოსწავლეთა მოტივაცია დაბალი არ არის დისტანციური სწავლების დროს. მათი აზრით ამგვარი სწავლების დროს ჭირდა სასწავლო პროცესში მოსწავლის ჩართვა, რაც პირისპირ სწავლებისას მეტად იყო შესაძლებელი. მათი აზრით, დისტანციური სწავლება იძლევა მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების გამოყენების საშუალებას, რაც დადებითად მოქმედებს მოტივაციაზე.

- თუ არის განსხვავება თქვენი სწავლის მოტივაციაში, სწავლის პირისპირ და სწავლის დისტანციურად სწავლების შემთხვევაში რა განსხვავებაა?

ბავშვები აღნიშნავენ, რომ კონცენტრაცია მეტად გაუჭირდათ დისტანციურ სწავლაზე, მათთვის პირისპირ სწავლა უფრო მხიარულია, მოსწავლეები თანაკლასელებთან ურთიერთობით მეტად მოტივირებულნი და ჩართულნი არიან საგაკვეთილო პროცესში და მათთვის უფრო გასაგებია პირისპირ სწავლების ფორმატი. მოსწავლეთა ნაწილისთვის სასკოლო გარემო ბევრად სჯობს და დისტანციური სწავლა-სწავლება დიდ დისკომფორტს უქმნით. ზოგიერთი მოსწავლე თვლის, რომ დისტანციური სწავლის დროს უფრო შეიბოჭა, ნაკლებად გააქტიურდა და დაეკარგათ კონცენტრაცია.

ნაწილს მიაჩნია, რომ უფრო დაინტერესებულნი გახდნენ ამგვარი სწავლისადმი და ცდილობდნენ კარგად მომზადებულნი შეხვედროდნენ გაკვეთილს.

- თუ არის განსხვავება თქვენი შვილის სწავლის მოტივაციაში, სწავლის პირისპირ და სწავლის დისტანციურად სწავლების შემთხვევაში რა განსხვავებაა?

მშობლები თვლიან, რომ მათი შვილები ნაკლებად მოტივირებულნი არიან დისტანციურ სწავლებაში ჩართვით და ისინი პირისპირ სწავლებაში უფრო ხედავენ თავიანთი შვილების მოტივაციას. ბავშვებს ნაკლები დრო აქვთ და ვერ ახერხებს სრულფასოვნად გაკვეთილების ჩაბარებას. მშობლები თვლიან, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა მეტი აქვთ მათ შვილებს დისტანციურ სწავლებაში, ზოგნი კი მიიჩნევენ, რომ საშინაო დავალების შესრულების მხრივ იგრძნობოდა

მოსწავლეების მოტივაციის კლება. მშობელთა ნაწილისთვის პირისპირ სწავლა ბევრად საინტერესო და ბევრის მომცემია. ისინი თვლიან, რომ მოტივაცია უფრო მეტია პირისპირ სწავლებაში, ასევე მეტია პასუხისმგებლობის გრძნობა მოსწავლის და პედაგოგის მხრივ. მშობელთა აზრით, დისტანციური სწავლების დროს ბავშვები ბევრად უყურადღებონი არიან და არ ყოფნით ნებისყოფა, რომ მოუსმინონ გაკვეთილს. პირისპირ ბავშვი უფრო ჩართულია გაკვეთილში და ინტერესი მეტი აქვს.

- რა ხარვეზი წარმოიშვა თქვენსა და მოსწავლეებს შორის დისტანციური სწავლების მსვლელობისას?

მასწავლებელთა აზრით ძირითადად შეინიშნებოდა ინტერნეტისა და ტექნიკის პრობლემები. Teams-ი მუდმივად გაუმართავი იყო. მოსწავლეთა ნაწილი უპასუხისმგებლოდ მოეკიდა ასეთ სასწავლო პროცესს. ბევრ მოსწავლეს არ ჰქონდა იზოლირებული სასწავლო გარემო, ხშირი იყო ხმის გათიშვა, კამერის არქონა ინტერნეტის გამორთვა და ჯგუფიდან გასვლები. ასევე იყო ისეთი შემთხვევები, როცა დედამამიშვილები ერთი ტექნიკით სარგებლობდნენ. კვირაში ერთი გაკვეთილის შემთხვევაში, მრავალრიცხოვან კლასში შეუძლებელი იყო ყველასგან ამომწურავი პასუხების მიღება. იყო უკუკავშირის პრობლემა. პროგრამაში ხმები ისმოდა სინქრონულად. მოსწავლეებს უჭირდათ დავალებების ველში დავალებების ატვირთვა. მოსწავლეები ხშირად აცდენდნენ, მათ მხოლოდ ჩართული ქონდათ პროგრამა და არ ესწრებოდნენ გაკვეთილს, ხოლო ზარმაცი მოსწავლეები ინტერნეტის არქონას იმიზიზებდნენ.

- რა ხარვეზი წარმოიშვა თქვენსა და მასწავლებლებს შორის დისტანციური სწავლების მსვლელობისას?

მოსწავლეები დისტანციური სწავლების მსვლელობისას ხარვეზად ასახელებენ ინტერნეტის და დენის არქონას და ამის გამო ისინი ვერ ახერხებდნენ დისკუსიაში ჩართვას. ზოგიერთი მოსწავლე აღნიშნავს, რომ ხარვეზი არ ჰქონია. ასევე ბავშვები დისტანციურ გაკვეთილებზე ხშირად ასახელებდნენ შუა გაკვეთილის პროცესში ხმის გათიშვას ბავშვები ნელ-ნელა შედიოდნენ

პროგრამაში და არა დათქმულ დროს. ბავშვები ხარვეზად ასახელებენ გაკვეთილის დროის ნაკლებობას.

- რა ხარვეზი წარმოიშვა თქვენს შვილსა და მასწავლებლებს შორის დისტანციური სწავლების მსვლელობისას?

მშობელთა აზრით, მასწავლებლებმა ვერ უზრუნველყვეს დისციპლინის დამყარება. მათი აზრით იყო ტექნიკური და ინტერნეტ ხარვეზები. თვლიან რომ ბავშვებს არ მოსწონდათ დისტანციური სწავლება და ისინი ზოგჯერ ვერ იგებდნენ ასეთ ახსნილ გაკვეთილს. მშობლები თვლიან, რომ დისტანციური სწავლება შორს არის სრულყოფილებისგან. მათი აზრით ხარვეზი იყო ჩართულობაში, ასევე იყო ინტერნეტის და ელექტრონერგის პრობლემები. მშობლები უარყოფით მხარედ ასახელებენ რეალური კონტაქტის არარსებობას, ასევე ზოგიერთ ბავშვს არ ჰქონდა მიკროფონი ან ვიდეოკამერა, ნაკლები იყო ინტერაქცია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. გაკვეთილების ხანგრძლივობა იყო ნაკლები, ასევე დავალებები ბავშვებისთვის რთული და ხშირ შემთხვევაში, გაუგებარი. სწავლის პროცესში ჩართულობა იყო ნაკლები, მასწავლებლები ვერ ახერხებდნენ ყველა მოსწავლესთან კონტაქტის დამყარებას.

### **რაოდენობრივი კვლევის შედეგების შეჯამება**

კერძო და საჯარო სკოლების მასწავლებლები მოსწავლეთა პორგრესს ონლაინ სწავლების მე-12 კვირისთვის, წარმატებით აფასებენ, რაც დასტურდება მასწავლებელთა დადებითი და საშუალო შეფასებებით. მოსწავლეები ასევე პოზიტიურად აფასებენ თავიანთ დისტანციური სწავლების პროგრესს ამ სწავლების მე-12 კვირისთვის, ხოლო მშობლების აზრით, დისტანციური სწავლება მე-12 კვირისთვის წარმატებულია, რაც ასევე დასტურდება მათი დადებითი და საშუალო შეფასებებით.

კვლევამ გვიჩვენა, რომ დისტანციური სწავლების დაინტერესებასთან და ჩართულობასთან დაკავშირებით მოსწავლეები, მასწავლებლები დამშობლები

გამოთქვამენ კმაყოფილებას როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლაში.

მოსწავლეების პროგრესისთვის დავალებების შესრულებაში, მასწავლებელთა დიდი ნაწილი გამოთქვამს კმაყოფილებას. მოსწავლეები ფიქრობენ, რომ ისინი დისტანციური სწავლების დროს დავალებებს კარგად ასრულებდნენ და არ ზარმაცობდნენ. მშობლების დიდი ნაწილი კმაყოფილია თავიანთი შვილების პროგრესით დავალებების შესრულებაში.

დისტანციური სწავლების აქტივობას ეკრანთან მასწავლებლები თვლიან, რომ სწორად აქვთ გათვლილი, რაც დასტურდება მათ კმაყოფილებაში. მოსწავლეების აზრით დისტანციური სწავლებისას აქტივობები ეკრანთან შესაბამისია და ისინი ნაკლებად განიცდიან ამ მხრივ დისკომფორტს. მშობელთა აზრით, საჯარო და კერძო სკოლების მასწავლებლებს კარგად ჰქონდათ გათვლილი დისტანციური სწავლების აქტივობები ეკრანთან და ამით ისინი კმაყოფილები არიან.

კვლევის შედეგების მიხედვით, ეკრანს მიღმა აქტივობები დადებითად შეაფასებს როგორც მასწავლებლებმა, ასევე მოსწავლეებმა და მშობლებმა როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლაში.

დადებითად შეფასდა ასევე საშინაო დავალებების რაოდენობა როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების მიერ. მოსწავლეების სწავლაში ჩართულობის ხარისხზე დისტანციური სწავლების პირობებში, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები აღნიშნავენ რომ უმეტესად სწავლაში ჩართულობა არ შეცვილათ და არ შეინიშნებოდა მთლიანობაში ჩართულობის შემცირება. სწავლაში ჩართულობის უფრო მაღალი მაჩვენებლით გამოირჩეოდა კერძო სკოლა.

მოსწავლეების სწავლის მოტივაციაზე, სწავლის პირისპირ და სწავლის დისტანციურად სწავლების შემთხვევაში, მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ მათ მოტივაციაში განსხვავებებია. მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ მათი სწავლების მოტივაციაში არის უფრო დიდი განსხვავებები, ვიდრე ამას მიიჩნევენ მასწავლებლები, რაც შეეხება მშობლებს, აღნიშნავენ, რომ მათი შვილების სწავლის მოტივაციაში განსხვავება უმნიშვნელოა, ანუ მოსწავლე ისე არის ჩართული

სწავლის პროცესში, როგორც პირიპირ სწავლებისას.

მასწავლებლის მზაობასთან დაკავშირებით დისტანციური სწავლებისთვის, მასწავლებლების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ იყო მომზადებული. მოსწავლეთა და მშობელთა აზრით მასწავლებლები მზად აღმოჩნდნენ დისტანციური სწავლა-სწავლებისთვის და მათ ჰქონდათ ამ სწავლებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

მოსწავლეების დისტანციური სწავლებისთვის მზად ყოფნასთან დაკავშირებით, მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ ბავშვები თითქმის იყვნენ მომზადებულები და დისტანციურ სწავლებაში განსაკუთრებით კერძო სკოლების მოსწავლეების მზაობა შეინიშნებოდა. მოსწავლეების აზრით, მათი დიდი ნაწილი დისტანციური სწავლება-სწავლისადმი იყო უმეტესად მომზადებული. მშობლთა 73 % თვლის, რომ მათი შვილები მეტ-ნაკლებად მზად იყვნენ დისტანციური სწავლისთვის.

მასწავლებელთა უმრავლესობა თვლის, რომ დისტანციურად ახსნილი გაკვეთილი მოსწავლეებისთვის გასაგები იყო და ამგვარი სწავლებით სწავლების გაუგებრობა არ შეინებოდა. საჯარო და კერძო სკოლების მშობლები და მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ დისტანციურად ახსნილი გაკვეთილი სირთულეს არ წარმოადგენს და ნათელია.

დისტანციური სწავლებით სწავლება ახდენს თუ არა მოსწავლის მოტივაციაზე სწავლისადმი გავლენას, მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ მოსწავლეებისთვის ესეთი სწავლება მოქმედებს მათ მოტივაციაზე სწავლისადმი, მოსწავლეთა აზრით ამგვარი სწავლება, მათი სწავლის მოტივაციაზე პოზიტიურ გავლენას ახდენს. მშობლებს მიჩნიათ, დისტანციური სწავლებით სწავლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თავიანთი შვილების სწავლის მოტივაციაზე.

როგორ იმართება კომუნიკაცია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ინტერნეტისა და ტექნიკის არ არსებობის ან ხარვეზის შემთხვევაში, მასწავლებლების აზრით, კერძო სკოლებში დისტანციური სწავლა-სწავლების მიწოდება ხარვეზის გარეშე ხორციელდება, ხოლო დანარჩენი რაოდენობა სხვადასხვა საშუალებებს მიმართავს საკომუნიკაციოდ. მოსწავლეები მიიჩნევენ, რომ ხარვეზის მიუხედავად დისტანციური სწავლება მაინც ხორციელდება,

დისტანციური სწავლებისთვის უკეთესი მდგომარეობა აქვთ კერძო სკოლების მოსწავლეებს, საჯარო სკოლების მოსწავლეებთან შედარებით. მშობელთა აზრით, მიუხედავად დისტანციურ სწავლაში ხარვეზებისა, კომუნიკაცია მოსწავლესა და მასწავლებელს შორის მანიც ხორციელდებოდა, ტელეფონის ან შექმნილი დაგვარად, ხელმისაწვდლომი ტექნიკისა და ინტერნეტის გამოყენებით.

მასწავლებლები აღნიშნავენ, დისტანციური სწავლებისას ხდებოდა კონსულტაციებისა და დისკუსიების გამართვა, რასაც ეთანხმებიან მოსწავლეებიც და მშობლებიც.

### თვისებრივი კვლევა - ჩაღრმავებული ინტერვიუ

#### კვლევის შეჯამება

ჩაღრმავებულ ინტერვიუში მონაწილე რესპოდენტები დისტანციური განათლების გამოწვევებს სხვადასხვანაირად აფასებენ.

რესპოდენტებად შეირჩა 5 ადამიანი, რომლებიც განათლების სფეროში ოპერირებენ ამ კუთხით და რომელთაც ესმით დისტანციურ სწავლა-სწავლების თავისებურებები. ზოგიერთი მათგანი კი უშუალოდ ჩართულია ამ ტიპის სწავლების პროცესში.

კვლევაში მონაწილე რესპოდენტების მოსაზრებები და დამოკიდებულებები დისტანციური სწავლება-სწავლისადმი ძირითადად დადებითია. ისინი შედეგიანად თვლიან დისტანციურ სწავლებას.

*„დისტანციური სწავლა მიმაჩნია, რომ გახდება ტრადიციული სწავლების ნაწილი. ეს მოიტანა დრომ. სწავლას ზოგადად მრავალი განზომილება აქვს, მხოლოდ ინფორმაციის გადაცემა და კოგნიტური უნარების განვითარება არ არის განათლების მიზანი, მას გაცილებით მეტი მიზნები აქვს“.*

*„ძალიან დადებითი. პოზიტიურად ვარ დისტანციური სწავლებისადმი. განსაკუთრებით ისეთი პროექტები, რომლებიც დროში გახანგრძლივებულია ყოველთვის ჯობია დისტანციურად იყოს,*

*„ძალიან კარგი გამოსავალია დისტანციური სწავლება, მაშინ როცა ვხედავთ საჭიროებას“.*

თავდაპირველად განათლების ექსპერტები დისტანციური სწავლების

პერიოდს აფასებდნენ, მაშინ როდესაც უმეტეს მასწავლებლებს არ ჰქონდათ გამოცდილება და მათ გამოცდილი პედაგოგები ეხმარებოდნენ დისტანციური სწავლების უკეთ წარმართვისთვის. ისინი მთლიანობაში დადებითად აფასებდნენ ამგვარი სწავლებით სწავლებას.

*„არის მოსაზრებები რომ რთულია არ გამოვა, შეუძლებელი არაფერია, უბრალოდ მომზადება გვჭირდება.“*

*„სამინისტრო ახორციელებდა სხვადასხვა ტრენინგებს დაწყებით კლასებში, მე 7 კლასის ზემოთ მასწავლებლების საგნებში, ასევე დირექტორებისთვის და მზაობა იყო ასე, თუ ისე“. „საწყისი ფაზაა ჯერ. მასწავლებლების ტრენინგი ერთადერთი ფართო მასშტაბიანი დანერგვა ყოფილა“.*

*„უცხოელი ექსპერტების შეფასების ფონზე, იმ ფონზე, რა გადაწყვეტილებები მიიღო განათლების სამინისტრომ და როგორც გაართვა სახელმწიფომ თავი ამ კრიზისულ სიტუაციაში, მაინც მიმაჩნია დადებითად შევაფასო დისტანციური სწავლების მდგომარეობა“.*

*„Microsoft-ის სათაო ოფისიდან ქება ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც განათლების სამინისტროსთვის ისე ქვეყნისთვის. განათლების სამინისტროს მნიშვნელოვან მიღწევად ვთვლი Teams-ის პლატფორმის გაქართულებას უმოკლეს ვადებში“.*

მოსწავლეზე დისტანციური სწავლების დადებით გავლენაში რესპოდენტები ძირითადად ასახელებენ, დროის თავისუფლებას, ბავშვებს უყალიბდებათ დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, აჩვენებს დაგეგმვას, უფრო ადვილად იმახსოვრებენ და ხალისით ერთვებიან სასწავლო პროცესში. *„ციფრული წიგნიერების უნარების განვითარებას აქვს ადგილი, ეს ის ფორმატია რომელიც მას მომავალში ცალსახად ელოდება და ამ ასაკში თუ ჩაუდებს საფუძველს მომავალში გამოადგება. ეს 21-ე საუკუნის უნარებიდან ერთ-ერთია და ამ უნარს ეუფლება“.*

დისტანციური სწავლების უარყოფით გავლენაში რესპოდენტები ასახელებენ ინტერნეტის ხარვეზს, მიზიდულობას კომპიუტერთან, მოსწავლეების იზოლაციას, რომ მათ არ ჰქონდათ პირისპირ ურთიერთობის საშუალება, ასევე

დისტანციური სწავლების პროცესში უარყოფითად გამოიკვეთა ის, რომ მოსწავლეებს არ ჰქონდათ დამოუკიდებელი სამუშაო სივრცე ან საკუთარი კომპიუტერი და ამის გამო მასწავლებლები და ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეებიც ესწრებოდნენ წმინდა ოჯახურ თემებს. მოსწავლეებსა და მასწავლებლებში ტექნოლოგიების დეფიციტმა იჩინა თავი. რესპოდენტები თვლიან, რომ ბავშვის სწორად ჩამოსაყალიბებლად მნიშვნელოვანია პირისპირ სწავლება.

*„ბავშვები როცა ერთმანეთთან და მასწავლებელთან კონტაქტობენ, სხვა ღირებულებებს იძენენ. საკლასო გარემოში, ჯგუფური სამუშაოები ტარდება და ასევე წყვილებში მუშაობა. ამ ფაქტორებს ვერ იძენენ დისტანციური სწავლების პერიოდში და ჩემთვის ეს ფაქტორები ახდენს უარყოფით ზეგავლენას დისტანციური სწავლებისგან“.*

*„სწორედ ციფრულმა დაყოფამ ყველაზე მწვავედ იჩინა თავი და ადამიანები რომლებმაც არ აქვთ უწყვეტი ინტერნეტი და ტექნოლოგიები პრაქტიკულად დარჩნენ სასწავლო პროცესის მიღმა. ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა ჩვენი საზოგადოებისთვის, ჩვენ უნდა დავინახოთ ეს ბავშვები“.*

რესპოდენტების აზრით, რომელი უფრო მნიშვნელოვანია, პირისპირ თუ დისტანციური სწავლება, ყველა განმარტავს, რომ ეფექტურია ორივე კომპონენტი ერთად და არა ცალ-ცალკე. ისინი თვლიან, რომ 21-ე საუკუნის უნარს ვერ გამოუმუშავებენ, თუ არ იქნება დისტანციური და პირისპირ სწავლების შერეული (Blended) ელემენტები ერთად, რაც პიროვნების ჩამოყალიბებისთვის კარგია, ასე რომ გარკვეული ბალანსი უნდა იყოს.

*„ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უნარი არის სწავლა ცხოვრების განმავლობაში. ამ უნარის ჩამოსაყალიბებლად დისტანციური სწავლა არის საუკეთესო კომპონენტი“.*

*„შერეული ყველაზე კარგი და ყველაზე ეფექტურია, განსაკუთრებით როცა ლაპარაკია ზოგად საგანმანათლებლო სასწავლო პროცესზე, როდესაც ბავშვს არა მარტო განათლების მიწოდება სჭირდება, არამედ მას ფსიქიკა და მსოფლმხედველობა უნდა ჩამოუყალიბდეს“.*



რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ განათლების სამინისტროს მხრიდან იყო ყველანაირი ხელის შეწყობა. განათლების სამინისტრომ შეისყიდა Microsoft Teams-ის პროგრამა. ის ხელმისაწვდომი გახდა ყველა საჯარო დაწესებულებისთვის უმოკლეს დროში. დარეგისტრირდა ყველა მასწავლებელი და მოსწავლე. განათლების სამინისტრომ სკოლებს „ტელესკოლა“ და ასევე „ისკოლა“ შესთავაზა.

*„თანადგომა იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი. შემუშავდა უმოკლეს დროში, რეკომენდაციები ელ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით, როგორ დაგეგმილიყო, როგორ წარმართულიყო“.*

*„ოფიციალური სახით შეთავაზა სამინისტრომ საზოგადოებას ტელესკოლა. ეს მეთოდი აირჩია ბევრმა ქვეყანამ, რადგან ხელმისაწვდომობა მარტივია. ტელევიზორი უფრო ბევრს აქვს, ვიდრე ინტერნეტი და კომპიუტერი. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ Teams გაქართულდა, იმიტომ რომ Microsoft-ს აქვს მემორანდუმი გაფორმებული სამინისტროსთან“.*

კითხვაზე, რა შეიცვლება განათლების სისტემაში ამგვარი დისტანციური სწავლის შემდგომ, როცა მოსწავლეები ჩვეულებრივ საკლასო ოთახს დაუბრუნდებიან, ექსპერტები ფიქრობენ რომ ის რესურსები, რომლებსაც იყენებდნენ უნდა იყოს კვლავ გამოყენებადი, მაგალითად Microsoft-ში და Google Classroom - ში არის ელექტრო რესურსები, სადაც ატვირთულია სასწავლო მასალა და სავარჯიშოები, რომლებიც გამოყენებადი იქნება ყველა კლასისთვის. ელექტრონული სასწავლო რესურსები ყველა კვირისთვისაა. ახლა მასწავლებლებმა უფრო მეტი გამოცდილება მიიღეს და საჭიროების შემთხვევაში მომავალში უფრო ადვილად შეძლებენ ასეთი ფორმატით გაკვეთილის ჩატარებას. დისტანციური სწავლების მიმართულებით ცვლილებები იქნება და უფრო ფართოდ დაინერგება. დისტანციური სწავლებისთვის შესაბამისი პროგრამების ფლობა მომავალში გახდება სავალდებულო უნარი მასწავლებლებისთვის.

რაც შეეხება, დისტანციური სწავლებისათვის მზაობას მასწავლებლებში თბილისსა და რეგიონებში, ზოგიერთი მასწავლებელი მეტ-ნაკლებად მზად იყო ვისაც გამოცდილება ქონდა კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან მუშაობის სასწავლო პროცესში, ვისაც არ ქონდა გამოცდილება, გამოცდილი

მასწავლებლების დახმარებით შეძლეს მოკლე ვადებში პორბლემების აღმოფხვრა. ვისაც ჰქონდა კომპიუტერული რესურსი პრობლემა არ ჰქონია, ხოლო ვისაც არ ჰქონდა, ყველანაირი საშუალება გამონახა კომუნიკაცია არ დაეკარგა ბავშვებთან. ზოგი იყენებდა Zoom-ს, ზოგი Team-ს, ზოგი კი Facebook ჩართვებს. დავალებას ბავშვები Word-ში ან Chat-ში წერდნენ, რომ თემას არ აცდენოდნენ და დავალება, ასე თუ ისე შეესრულებინათ. აკეთებდნენ დავალებების პორთფოლიოს. ქალაქში და რაიონებში, სადაც კეთილმოწყობილი იყო სკოლები შედარებით კარგი სიტუაცია იყო. არსებობდა შემთხვევები, რომ ბავშვები იყვნენ სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილები, ასევე ზოგიერთ საგანში ბავშვებს გაკვეთილიც კი არ ჩატარებიათ დედაქალაქში, ქალაქებშიც და სოფლებშიც.

*„როგორც ადამიანური რესურსების გადამზადებაში ისე ტექნოლოგიური ბაზის განვითარებაში არ ჩამოუარდით მოწინავე ქვეყნებს დისტანციურ სწავლებაში. ზოგი მასწავლებლის უნარები სუსტია მაგრამ მათ დაინახეს რომ ამის გარეშე ვეღარ იოპერირებენ სკოლასთან. ბმა არ აქვს ტექნოლოგიურად განუვითარებელ მასწავლებელს“.*

როგორი იყო მოლოდინი დისტანციური სწავლების ეფექტურობასთან დაკავშირებით გაამართლა თუ არა განათლების ექსპერტების მოლოდინებმა ამ კუთხით. ნაწილი თვლიდა რომ გაამართლებდა ნაწილი ეჭვის თვალთ უყურებდა.

*„დარწმუნებული ვიყავი, რომ გაამართლებდა. ბავშვების მხრიდან მზაობა იყო და ვთვლი რომ გაამართლა“.*

*„როდესაც სკოლები დაიხურა, პირადი შიშები მქონდა შეძლებდნენ თუ არა საჯარო სკოლები გადასვლას დისტანციური სწავლების რეჟიმზე. სასიხარულო ფაქტი არის ის, რომ ჩემი შიშები არ გამართლდა და სკოლები გადავიდნენ დისტანციური სწავლების რეჟიმზე“.*

რაც შეეხება მოსწავლის ეკრანთან გატარებულ დროს, ზოგი ამაში პრობლემას ვერ ხედავს, ზოგი კი ხედავს. ტექნოლოგიასთან მიჯაჭვულობა არის ამის უარყოფითი მხარე. მაქსიმუმ 20 წუთი. უნდა მიცეს მასწავლებელმა ინსტრუქცია ანუ ძირითად ინფორმაციას მიაწოდებს მასწავლებელი და შემდეგ

აძლევს დავალებას.

განსაკუთრებით დიდია მშობლის როლის მნიშვნელობა დისტანციური სწავლისას დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის. მშობლისგან იღებს მაგალითს ბავშვი, რამდენადაც მშობელია მოწადინებული ბავშვიც მოწადინებულია. მშობლის როლი ძალიან დიდია, თუმცა ჩვეულებრივი სწავლების დროსაც ვთვლი რომ მშობლის როლი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. მშობელმა უნდა მიაქციოს ყურადღება თამაშობს, თუ სწავლობს ბავშვი. როგორც საკლასო გარემოა მნიშვნელოვანი, ისე მნიშვნელოვანია ოჯახური გარემო. ამიტომ ინტერესი უნდა დაანახოს მშობელმა, რომ ის 20 წუთი სწორად გამოიყენოს, როცა ხედავს ბავშვი, რომ მშობელი თანამშრომლობს ადმინისტრაციასთან, ბავშვიც ინტერესდება.

თუ რა პარალელების გავლება შეიძლება დისტანციური სწავლებისას საჯარო და კერძო სკოლების ფუნქციონირებაში, როგორია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, Microsoft Teams მხოლოდ ხელმისაწვდომი იყო საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. კერძო სკოლებში კი იყენებდნენ Zoom-ს, Schoolbook-ს, Masenger და ა.შ.

*„უბრალოდ კერძო სკოლას აქვს მოტივაცია ძალიან მკაცრად გააკონტროლოს დისტანციური სწავლება, კერძო სკოლები იძულებული იყვნენ უფრო ეფექტიანი გზები შეემუშაებინათ და უფრო სწრაფად, რადგან მათი მოქმედება ადეკვატური უნდა იყოს მათ მომსახურებაში გაწეულ ფინანსებთან, ზოგადად მშობლებს მეტი მოლოდინებიც ჰქონდათ“.*

*„ძვირიან კერძო სკოლებში იქ მასწავლებლები შეიძლება უფრო მომზადებულები დახვდნენ ამ სიტუაციას, თავიანთი უნარებიდან გამომდინარე. ფინანსურად უფრო უზრუნველყოფილი ოჯახების შვილებს შეიძლება თავიანთი iPad ან კომპიუტერი ქონოდათ და ამ მხრივ არ განიცდიდნენ ტექნოლოგიების არქონას“.*

ყველა რესპოდენტი თანხმდება, რომ დაუჭერდა მხარს საშუალო სკოლის სასწავლო პროცესის დისტანციურ მოდელზე ნაწილობრივ, და არა სრულად დისტანციურ სწავლებაზე გადასვლას.

*„სრულად არა და კომპონენტები რომ იყოს დისტანციურის - კი“.*

*„რა თქმა უნდა. საჭიროების შემთხვევაში. მაგ. მაღალმთიან რეგიონში სადაც კადრი არაა ჯობია სპეციალისტმა ასწავლოს დისტანციურად. მე მხარს დავუჭერდი“.*

ის, რომ მასწავლებლებმა შეძლეს აქტიურად სწავლების გაგრძელება, ვფიქრობ ეს კარგი მაჩვენებელია იმისთვის, რომ დისტანციური სწავლების ელემენტები რეალურად ინტეგრირდეს ტრადიციულ სასწავლო პროცესში.

## დასკვნა და რეკომენდაცია

აღსანიშნავია, რომ საქსტატის 2019 წლის მონაცემებით, კომპიუტერით უზრუნველყოფილია საქართველოს მოსახლეობის 62%. ეს დამეთანხმებით, სასწავლო პროცესის უმტკივნეულოდ გაგრძელებას ნამდვილად შეუშლიდა ხელს. ამ პროცესმა თვალსაჩინო გახადა სოციალურ ფენებს შორის დიფერენცირება.

რიგი გამოწვევების დაძლევაში მშობელთა წვლილი იყო უდიდესი. რაც შეეხება დისტანციური სწავლების ხარისხს, ამ მიმართულებით, სრული პასუხისმგებლობა მასწავლებლებს დაეკისრათ, შესაბამისად, მიზნის მისაღწევად, სასწავლო მასალის მოდიფიცირება მოახდინეს.

საკლასო ოთახში ჩატარებული ცოცხალი გაკვეთილი და ონლაინ ჩატარებული გაკვეთილი მასწავლებლებისგან განსხვავებულ უნარ-ჩვევებს მოითხოვს. დისტანციური სწავლების დროს მასწავლებელი ფრთხილად უნდა იყოს უკუკავშირის მიცემაში. პოზიტიური უკუკავშირი მოსწავლეს დამატებით სტიმულს აძლევს. დავალებები ორიენტირებული იყო მოსწავლეთა ანალიტიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. მასწავლებლებს უნდა დაეხარჯათ მთელი თავისი ცოდნა და უნარები, რათა ბავშვები სასწავლო პროცესს არ ჩამორჩენოდნენ. მნიშვნელოვანია, რომ სწავლების პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნას მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური მდგომარეობა და ელექტრონულ მოწყობილობებსა და ინტერნეტზე წვდომა.

ბუნებრივია, დისტანციური სწავლების ფორმატი სრულად ვერ ჩაანაცვლებს სწავლა-სწავლების სასკოლო ფორმატს, მოსწავლეებს შორის კომუნიკაციას, საგაკვეთილო პროცესს, მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ინტერაქციას, თუმცა დისტანციურ სწავლა-სწავლებაზე გადასვლა ძირითადად მალე განხორციელდა. საჯარო სკოლებთან შედარებით, კერძო სკოლების დიდმა ნაწილმა უფრო სწრაფად მოახერხა ორგანიზება, რადგან მათ მეტი რესურსი და ანგარიშვალდებულება ჰქონდათ მშობლების წინაშე. მასწავლებელთა ნაწილმა, დისტანციური გაკვეთილების ჩატარების გარდა, დაიწყო კოლეგების აქტიური

დახმარება. დამოუკიდებელი ინიციატივებით ჩაიწერა არაერთი ვიდეოინსტრუქცია ამა თუ იმ ელექტრონული პლატფორმის გამოყენების გასაადვილებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ სწავლებაზე გადართვა ძალიან სწრაფად მოუწიათ მასწავლებლებს და მოსწავლეებს და შესაძლოა ბევრი მოსწავლისთვის ახალი იყო ამგვარი სწავლების ფორმატი, კვლევამ გვიჩვენა, რომ ტიპურად ერთნაირი სკოლებისთვის როგორც კერძო, ასევე საჯარო სკოლაში, სასწავლო პროცესი წარიმართა წარმატებით და მოსწავლეებმა გაიარეს პროგრამით გათვალისწინებული მასალა. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ კვლევა ხორციელდებოდა ეკონომიურად და სოციალურად მაღალი ფენის წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ სკოლებში, სადაც ნაკლებად დადგა დისტანციური სწავლა-სწავლების პროცესის ტექნიკური უზრუნველყოფა.

ცხადია, შეუძლებელია ამ კვლევის შედეგების განვრცობა მთლიანად საქართველოს მასშტაბზე, რამდენადაც, ტექნიკური პრობლემები თვალსაჩინოდ გამოიკვეთა მაღალმთიან რეგიონებში, და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის. კერძოდ, ძალიან ბევრ მოსწავლეს არ ჰქონდა წვდომა ინტერნეტთან სხვადასხვა მიზეზის გამო: ტექნიკური აღჭურვა, ინტერნეტის არქონა და ა.შ. ასევე ზოგიერთ მასწავლებელსაც ჰქონდა ტექნიკური პრობლემები და უფრო მეტიც, ვერ ერკვეოდა კომპიუტერულ პროგრამებში.

ამ მდგომარეობამ გამოაშკარავა იმის აუცილებლობა, რომ მასწავლებლები უნდა იყვნენ მზად, ასწავლონ მრავალფეროვან ფორმატში – პირისპირ თუ დისტანციურად. მეორე მხრივ, მასწავლებლებმა უცბად აღმოაჩინეს, რომ ტექნოლოგიების კარგად ფლობა სჭირდებათ და არა მხოლოდ ზოგადად, კარგად ფლობა, არამედ განათლებაში მისი გამოყენების ცოდნაც.

## ბიბლიოგრაფია და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. ანდლულაძე, ქ. თეთვაძე, მ. (2017) ონლაინ განათლების პოპულარობა ქართველ სტუდენტებში. სოციოლოგიის მიმართულება. თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. გვ 5-7.  
[https://www.researchgate.net/publication/341178130\\_onlain\\_ganatileba](https://www.researchgate.net/publication/341178130_onlain_ganatileba)
2. დოღონაძე, ალიევი, 2020: Doghonadze, N. Aliyev, A., The Degree of Readiness to Total Distance Learning in the Face of COVID-19 -Teachers' View (Case of Azerbaijan, Georgia, Iraq, Nigeria, UK and Ukraine). Journal of Education in Black Sea Region, pp. 4-21.  
<https://mail.google.com/mail/u/0/#advancedsearch/from=irmabarbakadze%40hotmail.com&query=irmabarbakadze%40hotmail.com&isrefinement=true&fromdisplay=irmabarbakadze?projector=1>
3. ზურაბიშვილი, 2006: ზურაბიშვილი, თ. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში, მომზადებულია სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აკადემიური სტიპენდიის საფუძველზე, სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის, თბილისი. <http://old.ucss.ge/publication/012%20Tvisibrivi%20Metodebi%20Socialur%20Kvlebebshi.pdf>
4. ფელდმანი, 2002: Feldman, R., 2002, Teaching and learning Online
5. ლუნდბერგი, 2008: Lundberg, J., Do online students perform better than face-to-face students?
6. სტევან დოუნსი. 2005: Stephen Downes., E-learning  
<https://www.downes.ca/post/31741>

7. ალიევა და სხვ. 2019: Aliyeva, T., & Rzayeva, U. (2019). E-education as a new education paradigm: Case of Azerbaijan. IEEE 13th International Conference on Application of Information and Communication Technologies (AICT), (pp. 1-5). Baku.
8. კარიმოვა და გარიბლი, 2019: Karimova, T. & Garibli, E., Lifelong economic education based on distance learning education. 5th International Conference on Lifelong Education and Leadership for ALL-ICLEL 2019, pp. 93-98, Sakarya.
9. ბუსბი, 2020: Busby, E., Coronavirus: UK schools prepare for online classes in event of widespread closures. www.independent.co.uk 04.03. Retrieved April 19 from <https://www.independent.co.uk/news/education/education-news/coronavirus-school-closures-onlineclasses-teachers-pupils-uk-a9376181.html>
10. ველერი, 2020: Weller, M. The COVID-19 Online Pivot: Adapting University Teaching to Social Distancing. Retrieved April 10, 2020 from LSE Impact Blog: <https://blogs.lse.ac.uk/impactofsocialsciences/2020/03/12/the-covid-19-online-pivot-adaptinguniversity-teaching-to-social-distancing/>
11. გუარდიანი, 2020: The Guardian (26.03.2020). How to study at home during coronavirus – by online students and tutors. <https://www.theguardian.com/education/2020/mar/26/how-to-study-at-home-during-coronavirus-byonline-students-and-tutors>
12. პიციანო, 2017: Picciano, A. G. (2017). Theories and frameworks for online education: Seeking an integrated model. Online Learning Journal, 21(3), pp. 166–190. <https://doi.org/10.24059/olj.v21i3.1225>
13. სიმონსონი, 2011: Simonson, M., Schlosser, C., & Orellana, A. (2011). Distance education research: A review of the literature. Journal of Computing in Higher Education, 23(2–3), pp. 124-142. <https://doi.org/10.1007/s12528-011-9045-8>
14. წულაძე, 2008: წულაძე, ლ., რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი <http://ucss.ge/publication/raodenobrivi%20kvlevis%20metodebis%20saxelomzgv.pdf>
15. ჰოლმბერგი, 2005: Holmberg, B., Theory and practice of distance education (Second). London & New York: Routledge.



1. აზერბაიჯანის განათლების და მეცნიერების სამინისტრო. 2020: Ministry of Education of Azerbaijan. (11.03.2020). TV lessons are started (ბოლო ნახვა 27.05.2020). <https://edu.gov.az/en/page/9/18194>
2. აზერბაიჯანის განათლების და მეცნიერების სამინისტრო. 2020: Ministry of Education of Azerbaijan. ( 01.04.2020). "Microsoft Teams" platformasından ödənişsiz istifadə imkanı. (ბოლო ნახვა 27.05.2020). <https://edu.gov.az/az/page/9/18166>
3. აზერბაიჯანის განათლების და მეცნიერების სამინისტრო. 2020: Ministry of Education of Azerbaijan ( 31.03.2020). The Ministry of Education presents the "Virtual School" project. (ბოლო ნახვა 27.05.2020). <https://edu.gov.az/en/page/9/18178>
4. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი. 2009: Law of the Azerbaijan Republic No. 833-IIIQ. About Education. (ბოლო ნახვა 27.05.2020). <https://cislegislation.com/document.fwx?rgn=29005>
5. აფხაზავა, 2020: აფხაზავა, რ., COVID-19 კატალიზატორის ეფექტი განათლებაში (პირველი ნაწილი). რადიო თავისუფლება (ბოლო ნახვა 21.06.2020) <https://www.radiotavisupleba.ge/a/covid-19-კატალიზატორის-ეფექტიგანათლებაში/30672088.html?fbclid=IwAR3globlMm1vczYg6fS5LE9BALtAuPuugRmd89yOZFMhVCa5LFTHWPwWyVo11> ივლისი, 2020.
6. ბარამიძე, 2017: ბარამიძე, ე. ალექსანდრე ჯეჯელავა დისტანციურ სწავლებაზე. batumelebi.netgazeti.ge. (ბოლო ნახვა 09.04.2020). <https://batumelebi.netgazeti.ge/news/78076/>
7. ბბს. 2020: BBC. (23.03.2020 Coronavirus: Parents heed calls not to send children to school. www.bbc.com (ბოლო ნახვა 27.05.2020). <https://www.bbc.com/news/education-51999539>

8. გაბუნია, 2020: გაბუნია, მ., ონლაინ სწავლება-განათლების ახალი პარადიგმის ძიებაში, platforma.ge (ბოლო ნახვა 11.04.2020). <http://platforma.ge/?p=3674>
9. გვაძაბია, 2020: გვაძაბია, მ., სირთულეები და გამოსავალი ონლაინ სწავლებისას-ინტერვიუ, Netgazeti.ge. (ბოლო ნახვა 16.04.2020). <https://netgazeti.ge/news/444983/?fbclid=IwAR0wnCE8PgYqPIqHYNoKeySuAfX MwTNTp9awD31kcdLE kYLPdCtY5PjaAA>
10. დუმბაძე, 2018: დუმბაძე, ლ. ხულოს ორ სკოლაში ინგლისურ ენას დისტანციურად შეასწავლიან, batumelebi.netgazeti.ge. (ბოლო ნახვა 09.04.2020) <https://batumelebi.netgazeti.ge/news/170112/>
11. დოიზენდ.დე, 2020: Deutschland.de (ბოლო ნახვა 04.05.2020). <https://www.deutschland.de/en/online-learning-in-germany>
12. თვალაბეიშვილი, 2020: თვალაბეიშვილი, ლ. ერთი მინუსი ის არის, რომ ძალიან მენატრება სკოლა – მოსწავლეები ონლაინ სწავლებაზე, akhaliganatleba.ge (ბოლო ნახვა 18.04.2020). <http://akhaliganatleba.ge/ერთი-მინუსი-ის-არის-რომ-ძა/>
13. ოუნისეფ აზერბაიჯანი, 2020: UNICEF Azerbaijan. (08.04.2020). UNICEF Azerbaijan launches #LearningAtHome Challenge. (ბოლო ნახვა 27.05.2020). <https://www.unicef.org/azerbaijan/press-releases/unicef-azerbaijan-launches-learningathome-challenge>
14. ისაკაძე, 2020: ისაკაძე, თ. ინკლუზიური განათლება დისტანციურად – სამინისტროს რეკომენდაციები, akhaliganatleba.ge. (ბოლო ნახვა 07.04.2020). <http://akhaliganatleba.ge/ინკლუზიური-განათლება-დის/>
15. კარგი სკოლა, 2020: <http://www.kargiskola.ge/> (ბოლო ნახვა 19.08.2020).
16. ნაბიევი, 2020: ნაბიევი, შ. დისტანციური სწავლება - დისტანციური განათლების ძირითადი პრინციპები. akhaliganatleba.ge. (ბოლო ნახვა 11.05.2020) <http://akhaliganatleba.ge/დისტანციური-განათლების-ძ/>
17. პირველი არხი, 2020: <https://1tv.ge/video> (ბოლო ნახვა 19.08.2020).

18. რატიანი, 2020: რატიანი, მ. სკოლის და ოჯახის ახალი პრიორიტეტები რომლებიც უნდა გადაიხედოს, mastsavlebeli.ge, გვ 1. (ბოლო ნახვა 07.06.2020) <http://mastsavlebeli.ge/?p=25330>
19. საინფორმაციო სააგენტო უნიანი, 2020: UNIAN information Agency. (30.03.2020). Ukraine launching "National Online School" project. ( ბოლო ნახვა 27.05.2020).<https://www.unian.info/society/10936646-ukraine-launching-national-online-school-project.html>
20. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების კულტურის და სპორტის სამინისტრო, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016: ქართული ენის დისტანციური სინქრონული სწავლება, ქართველ და შერეული ოჯახების ბავშვებისათვის 5-15 წლამდე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო. გვ. 1. (ბოლო ნახვა 14.04.2020). <http://www.distancelearning.mes.gov.ge/ge>
21. საქართველოს პარლამენტი საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (№1330) თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (ბოლო ნახვა 22.04.2020) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=87>
22. საქართველოს პარლამენტი საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, (№ 4785-II ს) თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (ბოლო ნახვა 22.04.2020). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3509592?publication=0>
23. საქართველოს მთავრობა, 20პლ20: საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება (№205) თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (ბოლო ნახვა 22.04.2020). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4840190?publication=0>
24. უკრაინის განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2020: The Ministry of Education and Science of Ukraine (2020, February 02). The Ministry of Education and Science of Ukraine Recommends Organizing Distance Learning for Students

- from People's Republic of China Who Are Not Currently in Ukraine. (ბოლო ნახვა 27.05.2020).<https://mon.gov.ua/eng/news/ministry-education-and-science-ukrainerecommends-organizing-distance-learning-students-peoples-republic-china-who-are-not-currently-ukraine>
25. ლოლობერიძე, 2015: ლოლობერიძე, ს. სწავლების თანამედროვე მეთოდები, დისტანციური სწავლება, mtm1984.wixsite.com (ბოლო ნახვა 11.04.2020) <https://mtm1984.wixsite.com/sophie/-1>
26. ყიფიანი, 2020: ყიფიანი, მ. ყველა სოფელი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ინტერნეტით – დისტანციური სწავლებისთვის აუცილებელი პირობა, akhaliganatleba.ge. (ბოლო ნახვა 11.05.2020). <http://akhaliganatleba.ge/ყველა-სოფელი-უნდა-იყოს-უზ/>
27. ყიფიანი, 2020: ყიფიანი, მ. გაკვეთილი ცოცხალი პროცესია და დისტანციური სწავლება მას ვერ ჩაანაცვლებს. akhaliganatleba.ge. (ბოლო ნახვა 21.04.2020). <http://akhaliganatleba.ge/http-akhaliganatleba-ge-wp-admin-post-phppost5378actioneditclassic-editor/>
28. ჭიჭინაძე, 2020: ჭიჭინაძე, ნ. დისტანციური სწავლების ნიუანსები მაღალმთიანი რეგიონის სკოლებში. akhaliganatleba.ge. (ბოლო ნახვა 21.04.2020).<http://akhaliganatleba.ge/http-akhaliganatleba-ge-wp-admin-post-phppost6125actioneditclassic-editor/>
29. ხანის აკადემია, 2020: khanacademy (ბოლო ნახვა 19.08.2020). <ka.khanacademy.org>
30. ჯელაძე, 2020: ჯელაძე, ლ. სსსმ მოსწავლეების დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით. akhaliganatleba.ge. (ბოლო ნახვა 22.05.2020). <http://akhaliganatleba.ge/სსსმ-მოსწავლეების-დისტან/>
31. ჯელაძე, 2020: ჯელაძე, ლ. ქვეყნის რჩეული პედაგოგები გაციფრებული სწავლების შესახებ. akhaliganatleba.ge. (ბოლო ნახვა 22.05.2020). <http://akhaliganatleba.ge/http-akhaliganatleba-ge-wp-admin-post-phppost5707actioneditclassic-editor/>
32. ჯელაძე, 2020: ჯელაძე, ლ. ტელესკოლა – ყველასთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პლატფორმა. akhaliganatleba.ge. (ბოლო ნახვა 21.04.2020).

<http://akhaliganatleba.ge/http-akhaliganatleba-ge-wp-admin-post-phppost4831actioneditclassic-editor/>

33. ჯელაძე, 2020: ჯელაძე, ლ. ნაჩქარევად დაწყებული ონლაინ სწავლების ეფექტი – უწყება პირველ შეფასებას აკეთებს, akhaliganatleba.ge. (ბოლო ნახვა 21.04.2020). <http://akhaliganatleba.ge/ნაჩქარევად-დაწყებული-ონლ/>
34. ჯელაძე, 2020: ჯელაძე, ლ., ონლაინ სწავლების ქართული მინი მოდელი, akhaliganatleba.ge, № 8 (882), გვ. 2-3. (ბოლო ნახვა 16.04.2020). <http://akhaliganatleba.ge/როგორ-ვუპასუხებთ-გამ/>
35. ჯელაძე, 2020: ჯელაძე, ლ., მასწავლებლის პროფესია პანდემიამდე და შემდეგ, პირისპირ და დისტანციურად - ინტერვიუ სიმონ ჯანაშიასთან. akhaliganatleba.ge, (ბოლო ნახვა 16.04.2020). [http://akhaliganatleba.ge/მასწავლებლისპროფესიაპა/?fbclid=IwAR2lmHroc84Fdq8muK-jsP-RIOc\\_M35VzW-pDkHHzOFFi2uGoUWZfOQyqBI](http://akhaliganatleba.ge/მასწავლებლისპროფესიაპა/?fbclid=IwAR2lmHroc84Fdq8muK-jsP-RIOc_M35VzW-pDkHHzOFFi2uGoUWZfOQyqBI)
36. ჯელაძე, 2020: ჯელაძე, ლ., პანდემია და ამერიკული სასკოლო განათლება, კონკრეტული მიდგომის არჩევამდე, akhaliganatleba.ge, (ბოლო ნახვა 21.06.2020) <http://akhaliganatleba.ge/კონკრეტული-მიდგომის-არჩე/>
37. ჯელაძე, 2020: ჯელაძე, ლ., ონლაინ სწავლების გამოცდილება ნუცა კობახიძისგან, akhaliganatleba.ge № 8 (882) გვ. 3. (ბოლო ნახვა 04.05.2020). <http://axaliganatleba.ge/upload/newspaper/1584691153.pdf>
38. ჰაფთაზ.აზ, 2020: Hafta.az. (09.04.2020). Azerbaycanda təhsil müəssisələri online təhsilə hazır deyil-Problem (Educational institutions in Azerbaijan are not ready for online education-Problem). (ბოლო ნახვა 27.05.2020). <http://hafta.az/azerbaycanda-tehsilmuessiseleri-online-tehsile-hazir-deyil-problem-276800-xeber.html>
39. LearningApps.org, 2020: LearningApps.org (ბოლო ნახვა 19.08.2020). <https://learningapps.org>

## დანართი 1.

რაოდენობრივი კვლევის გამოკითხვის ფორმის კითხვები მასწავლებლებისათვის:

- როგორ შეაფასებდით მოსწავლეების პროგრესს დისტანციური სწავლების მე-12 კვირისთვის?
- არიან თუ არა დაინტერესებულნი და ჩართულნი თქვენი მოსწავლეები დისტანციური გაკვეთილების პროცესში?
- როგორ შეაფასებდით თქვენი მოსწავლეების პროგრესს დავალებების შესრულებაში?
- როგორ შეაფასებდით დისტანციური სწავლებისას აქტივობებს ეკრანთან?
- როგორ შეაფასებდით დისტანციური სწავლებისას აქტივობებს ეკრანს მიღმა? როგორ შეაფასებდით დისტანციურ სწავლებისას საშინაო დავალებებს?
- როგორია თქვენი მოსწავლეების სწავლაში ჩართულობის ხარისხი ამგვარი სწავლის პირობებში?
- არის თუ არა განსხვავება თქვენი მოსწავლეების სწავლის მოტივაციაში, სწავლის პირისპირ და სწავლის დისტანციურად სწავლების შემთხვევაში?
- როგორი იყო თქვენი მზაობა ამგვარი სწავლება-სწავლისადმი?
- როგორი იყო თქვენი მოსწავლეების მზაობა ამგვარი სწავლება სწავლისადმი?
- არის თუ არა გასაგები დისტანციურად ახსნილი გაკვეთილი თქვენი მოსწავლეებისთვის?
- ახდენს თუ არა ამგვარი სწავლებით სწავლება გავლენას მოსწავლის მოტივაციაზე სწავლისადმი?

- როგორ ხდება კომუნიკაცია თქვენსა და თქვენს მოსწავლეებს შორის ინტერნეტისა და ტექნიკის არარსებობის ან ხარვეზის ქონის შემთხვევაში?
- ახერხებთ თუ არა თქვენს მოსწავლეებთან, დისტანციური სწავლის პირობებში კონსულტაციებისა და დისკუსიების გამართვას?

ასევე რაოდენობრივ კვლევას ჰქონდა ღია კითხვები:

- თუ არის თქვენთვის განსხვავება სწავლის პირისპირ და სწავლის დისტანციურად სწავლების შემთხვევაში რა განსხვავებაა?
- რა იყო ბოლო კვირების მანძილზე თქვენი უდიდესი პროფესიული მიღწევა?
- როგორ შეაფასებდით დისტანციური სწავლების გამოცდილებას ამ დროისთვის?
- რა ხარვეზი წარმოიშვა თქვენსა და თქვენს მოსწავლეებს შორის დისტანციური სწავლებით სწავლისას?
- გთხოვთ გაგვიზიაროთ ნებისმიერი სახის რჩევა, რაც თქვენი აზრით დისტანციური სწავლებას გააუმჯობესებს.

რაოდენობრივი კვლევის გამოკითხვის ფორმის კითხვები მოსწავლეებისათვის:

- როგორ შეაფასებდით თქვენს პროგრესს დისტანციური სწავლების მე-12 კვირისთვის?
- ხართ თუ არა დაინტერესებულნი და ჩართულნი დისტანციური გაკვეთილების პროცესში?
- როგორ შეაფასებდით თქვენს პროგრესს დავალებების შესრულებაში?
- როგორ შეაფასებდით დისტანციური სწავლებისას აქტივობებს ეკრანთან?
- როგორ შეაფასებდით დისტანციური სწავლებისას აქტივობებს ეკრანს მიღმა?
- როგორ შეაფასებდით დისტანციურ სწავლებისას საშინაო დავალებებს?
- როგორია თქვენი სწავლაში ჩართულობის ხარისხი ამგვარი სწავლის პირობებში?

- არის თუ არა განსხვავება თქვენი სწავლის მოტივაციაში, სწავლის პირისპირ და სწავლის დისტანციურად სწავლების შემთხვევაში?
- როგორი იყო თქვენი მზაობა ამგვარი სწავლება-სწავლისადმი?
- როგორი იყო თქვენი მასწავლებლების მზაობა ამგვარი სწავლება სწავლისადმი?
- არის თუ არა გასაგები დისტანციურად ახსნილი გაკვეთილი თქვენთვის?
- ახდენს თუ არა ამგვარი სწავლებით სწავლება გავლენას თქვენს მოტივაციაზე სწავლისადმი?
- როგორ ხდება კომუნიკაცია თქვენსა და თქვენს მასწავლებლებს შორის ინტერნეტისა და ტექნიკის არარსებობის ან ხარვეზის ქონის შემთხვევაში?
- ახერხებთ თუ არა თქვენს მასწავლებლებთან, დისტანციური სწავლის პირობებში კონსულტაციებისა და დისკუსიების გამართვას?

ასევე რაოდენობრივ კვლევას ჰქონდა ღია კითხვები:

- თუ არის თქვენთვის განსხვავება სწავლის პირისპირ და სწავლის დისტანციურად სწავლების შემთხვევასო რა განსხვავებაა?
- რა იყო ბოლო კვირების მანძილზე თქვენი უდიდესი მიღწევა?
- როგორ შეაფასებდით დისტანციური სწავლების გამოცდილებას ამ დროისთვის?
- რა ხარვეზი წარმოიშვა თქვენსა და თქვენს მასწავლებლებს შორის დისტანციური სწავლებით სწავლისას?
- გთხოვთ გაგვიზიაროთ ნებისმიერი სახის რჩევა, რაც თქვენი აზრით დისტანციურ სწავლებას გააუმჯობესებს.

რაოდენობრივი კვლევის გამოკითხვის ფორმის კითხვები მშობლებისათვის:

- როგორ შეაფასებდით თქვენი შვილის პროგრესს ონლაინ სწავლების მე-12 კვირისთვის?
- არის თუ არა დაინტერესებული და ჩართული თქვენი შვილი დისტანციური გაკვეთილების პროცესში?
- როგორ შეაფასებდით თქვენი შვილის პროგრესს დავალებების შესრულებაში?



- როგორ შეაფასებდით დისტანციურ სწავლებისას აქტივობებს ეკრანთან?
- როგორ შეაფასებდით დისტანციურ სწავლებისას აქტივობებს ეკრანს მიღმა?
- როგორ შეაფასებდით დისტანციურ სწავლებისას საშინაო დავალებებს?
- როგორია თქვენი შვილის სწავლაში ჩართულობის ხარისხი ამგვარი სწავლის პირობებში?
- არის თუ არა განსხვავება თქვენი შვილის სწავლის მოტივაციაში, სწავლის პირისპირ და სწავლის დისტანციურად სწავლების შემთხვევაში?
- როგორია თქვენი შვილის მზაობა ამგვარი სწავლება-სწავლისადმი?
- როგორია მასწავლებლების მზაობა ამგვარი სწავლება სწავლისადმი?
- არის თუ არა გასაგები დისტანციურად ახსნილი გაკვეთილი თქვენი შვილისთვის?
- ახდენს თუ არა ამგვარი სწავლებით სწავლება გავლენას თქვენი შვილის მოტივაციაზე სწავლისადმი?
- როგორ ხდება კომუნიკაცია თქვენს შვილსა და მასწავლებლებს შორის ინტერნეტისა და ტექნიკის არარსებობის ან ხარვეზის ქონის შემთხვევაში?
- ახერხებენ თუ არა თქვენი შვილი და მასწავლებლები დისტანციური სწავლის პირობებში კონსულტაციებისა და დისკუსიების გამართვას?

ასევე რაოდენობრივ კვლევას ჰქონდა ღია კითხვები:

- თუ არის განსხვავება თქვენი შვილის სწავლის პირისპირ და სწავლის დისტანციურად სწავლების შემთხვევაში რა განსხვავებაა?
- რა არის ბოლო კვირების მანძილზე თქვენი შვილის უდიდესი პროფესიული მიღწევა?
- როგორ შეაფასებდით დისტანციური სწავლების გამოცდილებას ამ დროისთვის?
- რა ხარვეზი წარმოიშვა თქვენს შვილსა და მასწავლებლებს შორის დისტანციური სწავლებით სწავლისას?
- გთხოვთ გაგვიზიაროთ ნებისმიერი სახის რჩევა, რაც თქვენი აზრით დისტანციურ სწავლებას გააუმჯობესებს.

## დანართი 2.

თვისებრივი კვლევის გამოკითხვის ფორმის კითხვები განათლების ექსპერტებისთვის:

1. როგორია თქვენი ზოგადი დამოკიდებულება დისტანციური სწავლისადმი? (ღია კითხვა).
2. როგორ შეაფასებდით დისტანციური სწავლების დღევანდელ მდგომარეობას საქართველოში? (ღია კითხვა).
3. რა დადებითი გავლენა აქვს თქვენი აზრით მოსწავლეზე დისტანციურ სწავლებას? (ღია კითხვა).
4. რა უარყოფითი გავლენა აქვს თქვენი აზრით დისტანციურ სწავლებას? (ღია კითხვა).
5. თქვენი აზრით როგორი გავლენას აქვს დისტანციურ სწავლებას მოსწავლის ბუღინგზე? (ღია კითხვა).
6. რომელი უფრო ეფექტურია მოსწავლის განვითარებისთვის დისტანციური თუ პირისპირ სწავლება ან ორივე ერთად? და რატომ? (ღია კითხვა).
7. თქვენი აზრით რა თანადგომა გამოიჩინა განათლების სამინისტრომ პანდემიის პერიოდში დისტანციური სწავლებისთვის? (ღია კითხვა).
8. თქვენი აზრით რა შეიჩვლება განათლების სისტემაში დღევანდელი დისტანციური სწავლების შემდეგ, მაშინ როდესაც მოსწავლეები ჩვეულებრივ საკლასო ოთახს დაუბრუნდებიან? (ღია კითხვა).
9. დისტანციური სწავლებისთვის რამდენად მზად აღმოჩნდნენ საქართველოს სკოლების მასწავლებლები თბილისსა და რეგიონებში? (ღია კითხვა).
10. როგორი იყო თქვენი როგორც განათლების ექსპერტის მოლოდინი დისტანციური სწავლების ეფექტურობასთან დაკავშირებით? გაამართლა თუ არა მოლოდინებმა? გტხოვთ ამიხსნათ რა იყო მოლოდინი და რა აღმოჩნდა რეალობა? ან პირიქით?(ღია კითხვა).
11. როგორია თქვენი აზრი მოსწავლის ეკრანთან გატარებული დროის შესახებ?(ღია კითხვა).

12. დისტანციური სწავლებისას როგორია მშობლის როლი მოსწავლის პროგრესისთვის?(ღია კითხვა).
13. რა პარალელების გავლება შეიძლება დისტანციური სწავლებისას საჯარო და კერძო სკოლების ფუნქციონირებაში? როგორია მათი ძლიერი და სუსტი მხარეები?(ღია კითხვა).
14. დაუჭერდით თუ არა მხარს საშუალო სკოლის სასწავლო პროცესის დისტანციურ მოდელზე გადასვლას?(ღია კითხვა).
15. რას დაამატებდით ამ თემასთან დაკავშირებით? (ღია კითხვა).